„ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგიისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების მიღებისა და „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზნით გამართული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვის ცხრილი

კომენტარის წარმდგენი სუბიექტი	კომენტარი		საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარზე
შპს „მაგთიკომი“ შპს „მაგთიკომის“ წერილი (კომისიაში რეგისტრაციის №შ-23-6/4219, თარიღი: 21.12.2023)	BDO Consulting LLC and Kalba International	ბუნდოვანი და არაგანჭვრეტადი ხდება საკანონმდებლო ჩარჩო, რადგან დადგენილების პროექტის მიღების პირობებში კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით ბაზრის ანალიზის საკითხს მოაწესრიგებს ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტი (ახალი დადგენილების პროექტი და მოქმედი „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს N5 დადგენილება).	საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შესაბამისი დადგენილებების მიღება არ განაპირობებს ნორმათა კოლიზიას და დაცულია განჭვრეტადობის სტანდარტიც. კერძოდ: პროცედურების მიღებასთან ერთად ერთიან პაკეტში მიიღება „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება. კერძოდ, აღნიშნულ დადგენილებას ემატება 1^1 მუხლი, რომელიც აკეთებს დათქმას, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარება განხორციელდეს ახალი მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად (ასევე, მითითებულია ახალი პროცედურის თარიღი და ნომერი - 2024 წლის 22 თებერვლის N1 დადგენილება).

			ამგვარი დათქმა არის ნათელი და განჭვრეტადი საფუძველი, რომ ახალი დადგენილების ამოქმედების შემდეგ, კომისიამ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრა და ბაზრის კვლევა განახორციელოს სწორედ ახალი წესების შესაბამისად და მოქმედ დადგენილებაში არსებული ნორმების გამოყენების უფლება, ამ ნაწილში, აღარ ექნება. თავის მხრივ, №5 დადგენილებაში არსებული ნორმები, რომელიც ეხება კონკურენციის კვლევასა და ანალიზს, მოქმედი რჩება მხოლოდ კონცენტრაციების მიზნებისათვის, რადგან დადგენილების 32-ე მუხლი აკეთებს დათქმას, რომ შერწყმის შესწავლა მოხდეს სწორედ ამ წესების შესაბამისად. ამდენად, ცალსახაა და ორაზროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევა №5 დადგენილებაში გაკეთებული დათქმა და შემოღებული წესები, თუ როგორ და რა მიზნით მოხდება ამ ორი დადგენილების თანაარსებობა და პრაქტიკაში აღსრულება.

		ახალი დადგენილების პროექტის მე-15 მუხლში მოცემულია ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის მეორადი კრიტერიუმები. ეს მიდგომა კი ეწინააღმდეგება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-11 პუნქტს, რომლის შესაბამისად, რამდენიმე ავტორიზებული პირი განიხილება ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ დაკმაყოფილებულია წილის კანონისმიერი კრიტერიუმი.	„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, „მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის დადგენისას და მისთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებისას ძირითადი კრიტერიუმის გარდა გამოიყენება მეორეული კრიტერიუმები, რომლებიც ობიექტურად განსაზღვრავს ძირითადი კრიტერიუმების შესაბამისად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის შეზღუდვისა და არაკონკურენტული ქმედებების განხორციელების შესაძლებლობებს. მეორეულ კრიტერიუმებს ანალიზური ფაქტორების გათვალისწინებით განსაზღვრავს კომისია“. ამდენად, კანონში მითითებული პირის საბაზრო წილი არის ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც ცალკე აღებული არ არის საკმარისი პირების ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ მიჩნევისთვის და საჭიროა მეორეული კრიტერიუმების შეფასებაც. სწორედ ეს მეორეული კრიტერიუმებია მოცემული პროცედურების მე-16 მუხლში. შესაბამისად, კანონსა და პროცედურებს შორის არ არის წინააღმდეგობა და მეორეული კრიტერიუმების დადგენა ემსახურება სწორედ კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.
		„ელექტრონული კომინიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტი აკეთებს დათქმას, რომ თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებულ პირს აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, მას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება აქვს ასევე ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტზე.	პირველ რიგში, ხაზგასასმელია, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულია „ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგიისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების მიღებისა და „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და

		ანალოგიური პირობაა კომისიის მოქმედ დადგენილებაში (N5). ევროკავშირის დირექტივა არ გამორიცხავს ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ქონას, თუმცა, ასეთ პრეზუმფციას არ აკეთებს. ამდენად, მიზანშეწონილია, კანონში შევიდეს ცვლილება და მიეთითოს „შესაძლებლობაზე“ და ავტომატურად არ მოხდეს პირის მიჩნევა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტზეც.	კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს N5 დადგენილებაში ცვლილების განხორციელების მიზნით და საჯარო კონსულტაციები შეეხება სწორედ ამ კონკრეტულ პროექტებს. შესაბამისად, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების მიზანშეწონილობის განხილვა, სცილდება მიმდინარე წარმოების ფარგლებს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი არა „პრეზუმფციის“, არამედ, „შესაძლებლობის“ სახით ითვალისწინებს ავტორიზებული პირის მიჩნევას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტზე. კერძოდ, კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ ბაზრის ანალიზი მოიცავს პირველადი და მეორეული კრიტერიუმების გათვალისწინებით მომსახურების ბაზრის შესაბამის და მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების დადგენას. ამდენად, ანალიზის პროცესი ასევე შეეხება მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტზე პირის საბაზრო ძალაუფლების შეფასებას. ეს საკითხი კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტებულია დადგენილების პროექტში. კერძოდ, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ „ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტები უნდა განისაზღვროს ამ თავით დადგენილი პრინციპების მიხედვით, ხოლო მათი კონკურენტუნარიანობის ანალიზი უნდა განხორციელდეს სამი კრიტერიუმის ტესტისა და ამ პროცედურებით გათვალისწინებული სხვა პირობების შესაბამისად.“

			შესაბამისად, კომისია, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, ცალკე განსაზღვრავს და შეაფასებს ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტს და მისი წინასწარი რეგულირების მიზანშეწონილობას.
		ამავე დროს, თუმცა ერგბ-ის ექსპერტების მიერ რეკომენდებული იყო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების ჩამონათვლისა და ბაზრის კვლევისა და ანალიზის გაიდლაინების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციის დებულებების „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანა ევროკავშირის ჩარჩო დირექტივასთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ეს ჯერ შესრულებული არ არის.	წინამდებარე საჯარო კონსულტაციებისა და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ განიხილება საჯარო კონსულტაციების წესების შესაბამისობა ევროკავშირის სამართალთან. შესაბამისად, კომენტარი სცდება საჯარო კონსულტაციების ფარგლებს. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ კომისიამ 2021 წლის 9 დეკემბრის №6 დადგენილებით საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის საფუძველზე დაამტკიცა „საჯარო კონსულტაციების მარეგულირებელი წესი“, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ვრცელდება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე-24-ე მუხლებით და ამავე კანონის V თავით გათვალისწინებულ კონკურენციის წინასწარ რეგულირებასთან დაკავშირებული ბაზრის ანალიზის პროცედურების განხორციელებაზე და სრულად შეესაბამება ევროკავშირის სამართლის მოთხოვნებს. კონკურენციის წინასწარ რეგულირებასთან მიმართებით აღნიშნული წესების ევროკავშირის სამართალთან შეუსაბამობის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ მიუთითებია არცერთ დაინტერესებულ პირს, მათ შორის, არც შპს „მაგთიკომს“.
		დოკუმენტში პრიორიტეტი არ აქვს მინიჭებული საბითუმო ბაზრების შეფასებებს, რითიც მარეგულირებელი იტოვებს საცალო ბაზრებზე მიმართვის შესაძლებლობას, განსხვავებით ზემოაღნიშნული ევროკომისიის გრძელვადიანი პრაქტიკისგან, რომ პირველ რიგში განხილულ იქნეს	კომენტარი ემყარება მეთოდოლოგიური წესების პროექტის შინაარსის არასწორ აღქმას. კერძოდ, პროექტში სათანადოდ ცხადად არის მითითებული, რომ კონკურენციის პრობლემების აღმოფხვრა უპირატესად უნდა მოხდეს საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების გზით. კერძოდ, პროცედურების მე-16 მუხლის (თავდაპირველად გამოქვეყნებული რედაქციის მე-17 მუხლის)

		ზედა დინების ბაზრები, რომლებიც უნდა დაექვემდებაროს SMP შეზღუდვებს.	მიხედვით, საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბითუმო ბაზრის სეგმენტზე დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები ვერ უზრუნველყოფს საცალო ბაზრის სეგმენტზე ეფექტიან კონკურენციას.
		დოკუმენტში არ არის ასახული ბაზრის წილის 50%-იანი ზღვარი. ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ ავტორიზებული პირები, რომლებსაც გააჩნიათ ბაზრის მაღალი წილი, თუმცა ის არ აღემატება 50%-იან ზღვარს, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასება უნდა განხორციელდეს ბაზრის ძირითადი სტრუქტურული მახასიათებლების საფუძველზე.	მეთოდოლოგიური წესები, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების განსაზღვრისას ეყრდნობა როგორც პირველად (საბაზრო წილი აღემატება 40%-ს), ისე - მეორეულ კრიტერიუმებს (ბაზრის ძირითადი სტრუქტურული მახასიათებლების მხედველობაში მიღებით). შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად განსაზღვრის პროცესი არ არის მექანიკური, მხოლოდ საბაზრო წილზე დამოკიდებული და კომისია ყოველთვის აფასებს ბაზრის ისეთ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც განსაზღვრულია ევროკავშირის შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტებით. ესენია: რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურის ქონა, ტექნოლოგიური უპირატესობები, მსყიდველობითი ძალაუფლების დაბალი დონე ან/და არარსებობა და ა.შ. (პროცედურების მე-14 მუხლი).
		„საინვესტიციო კიბის პრინციპთან“ დაკავშირებით, მე-2 მუხლი მიუთითებს საკვანძო საკითხზე - „მიიჩნევა თუ არა შესაძლებლად შესაბამისი მომსახურების ბაზრის სეგმენტზე გამოყენებული ინფრასტრუქტურის დუბლირება.“ ის დასძენს: „იმ შემთხვევაში, თუ ინფრასტრუქტურის დუბლირება შესაძლებელია, დაწესებულმა ვალდებულებებმა ხელი უნდა შეუწყონ საინვესტიციო კიბის პრინციპს, რაც გულისხმობს, ბაზარზე ახალშემსვლელი ავტორიზებული პირების დაშვებას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების	პროცედურებიდან ამოღებულია „საინვესტიციო კიბის პრინციპი“. შესაბამისად, კომენტარის განხილვა არარელევანტურია.

		მქონე ავტორიზებული პირის ქსელზე, რათა მათ შეძლონ ინვესტიციის განხორციელება საკუთარი ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწყობის მიზნით.“ ამასთან, არ არის გათვალისწინებული, სხვა ოპერატორისთვის რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს იმას, თუ მეორე ინფრასტრუქტურა ფინანსურად მდგრადი არ იქნება, ან ის დაცვის მექანიზმები, რომლებიც ამ სიტუაციაში უნდა გამოიყენებოდეს.	
		წარმოდგენილი მეთოდოლოგია (მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი) შეიცავს დებულებებს წინა ანალიზიდან 3 წლის შემდეგ ბაზის ანალიზის ჩატარებასთან დაკავშირებით. ასევე, ევროკავშირის დირექტივაში (მუხლი 16/6) აღნიშნულია, რომ ბაზრის ანალიზის პროცედურები უნდა ჩატარდეს რეგულარულ ვადებში, სულ ცოტა სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ამის საპირისპიროდ, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონსა და N5 რეგულაციაში არ არის მითითებული კომისიის მიერ ბაზრის ანალიზის ჩატარების ინტერვალები. კანონში სპეციალურად მითითებული შესაბამისი მოთხოვნების გარეშე, კომისიას შეუძლია ცალმხრივად, სათანადო დასაბუთების გარეშე, გააუქმოს ან შეცვალოს ეს „სამწლიანი ვადის“ დანაწესი. შესაბამისად, ამ წარმოდგენილი დებულების გამოყენებაში ბუნდოვანებისგან თავის აცილების მიზნით, სავალდებულო ბაზრის ანალიზის ჩატარების ვადები შეტანილი უნდა იყოს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში.	წინამდებარე საჯარო კონსულტაციების საგანია კომისიის მიერ მისაღები მეთოდოლოგიური წესები და არა ის საკითხი, თუ რა ცვლილება უნდა შევიდეს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში. შესაბამისად, კომენტარი სცდება საჯარო კონსულტაციების საგანს. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიური წესებით განსაზღვრული ბაზრის ანალიზის პერიოდულობის განმსაზღვრელი ნორმები სრულად შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს და შინაარსობრივად ამ საკითხზე შენიშვნა არ არის წარმოდგენილი.
		ეს მიდგომა ძირითადად ასახულია N5 რეგულაციაში (21-ე მუხლის 2ა და 2ბ პუნქტები). ამასთან, N5 რეგულაციაში სპეციალურად არის ნახსენები ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI),	მეთოდოლოგიური წესების პროექტი სახელდებით აღარ მიუთითებს HHI ინდექსზე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღნიშნული ინდექსი არ არის უნივერსალური ინდიკატორი, რომელიც ბაზრის ყველა სეგმენტზე აჩვენებს კონცენტრაციის

		მაგრამ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მე-15 მუხლში (მე-3 პუნქტში) ეს ასე არ არის. ამავე დროს, როგორც „ა“ ნაწილში აღვნიშნეთ, წარმოდგენილი მეთოდოლოგია კომისიას უტოვებს მანევრირების მნიშვნელოვან სივრცეს იმის განსაზღვრისას, ბაზრის რომელი სეგმენტები გამოიყენოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ასეთი შეფასებების დროს და, შესაბამისად, ტოვებს დიდ სივრცეს იმის გასაჩივრებისთვის, კომისიამ როგორი ფორმულირება მისცა ამ შეფასებებს.	ობიექტურ დონეს. ევროკავშირის SMP სახელმძღვანელო პრინციპები უარყოფს „მექანიკურ“ მიდგომას. ბაზრების განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს. შესაბამისად, შეფასების ისეთი ინდიკატორების ამოღება, როგორიც არის HHI ინდექსი, ემსახურებოდა ბაზრის ანალიზის პროცესში არამექანიკური, ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ეკონომიკური ანალიზის შესაძლებლობის შექმნას. HHI ინდექსის მეთოდოლოგიური წესებიდან ამოღება არ გულისხმობს, რომ კომისია აღარ გამოიყენებს აღნიშნულ ინდიკატორს. მისი გამოყენება კომისიის მიერ, სხვა რელევანტურ ინდიკატორებთან ერთად, განხორციელდება ბაზრის მიმდინარე კონიუნქტურის გათვალისწინებით.
		„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, კომისია ვალდებულია შეადგინოს „შესაბამისობის ცხრილი“ იმ რეგულაციებისთვის, რომლებსაც ის საქართველოს „ასოცირების დღის წესრიგის“ კონტექსტში იღებს. თუმცა, შემოთავაზებულ მეთოდოლოგიაში ასეთი ცხრილი არ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ის სტატუს-კვოს მკაფიო ანალიზის საშუალებას და ახალი რეგულირების საჭიროებას შექმნიდა ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის შესაბამისი მუხლების მიხედვით (ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრისთვის). დღესდღეობით, ახალი მეთოდოლოგია შემოთავაზებულია ყოველგვარი ანალიზის გარეშე ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის შესაბამისი დებულებების საპირისპიროდ და ასეთი მარეგულირებელი გადაწყვეტილების ადეკვატური დასაბუთების გარეშე.	„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ბ“ და „ა1“ ქვეპუნქტების შესაბამისად, თუ არსებობს ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის განმარტებით ბარათს თანდართული უნდა ჰქონდეს მასთან შესაბამისობის ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად. საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ემყარება ევროკომისიის სარეკომენდაციო დოკუმენტს (EU SMP Guideline (C/2018/2374), რომელიც არ არის სამართლებრივი აქტი. კერძოდ, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 288-ე მუხლის შესაბამისად, კავშირის ინსტიტუციების სამართლებრივი ძალის მქონე აქტებს მიეკუთვნება რეგულაცია, დირექტივა და გადაწყვეტილება. ხოლო, სამართლებრივად მბოჭავი ხასიათი არ აქვს რეკომენდაციას და მოსაზრებას.

			EU SMP Guidelines არის ევროკომისიის სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელო დოკუმენტი. შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ ის არ მიეკუთვნება ევროკავშირის სამართლებრივ აქტს - არ არსებობს მასთან შესაბამისობის ცხრილის შედგენის ვალდებულება.
		ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონი არ შეიცავს დებულებების სპეციფიკური ვალდებულებების გაუქმების შესახებ. წარმოდგენილი მეთოდოლოგია კი ასეთ დებულებებს შეიცავს. რაც შეეხება ევროკავშირის ჩარჩო დირექტივას, მასში [მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი] ნათქვამია: „იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული მარეგულირებელი ორგანო დაასკვნის, რომ ბაზარი ეფექტიანად კონკურენტუნარიანია, ის არ დააკისრებს ან ძალაში არ დატოვებს [...]-ში ნახსენებ სპეციფიკურ მარეგულირებელ ვალდებულებებს. იმ შემთხვევებში, როცა სექტორისთვის სპეციფიკური სპეციფიკური მარეგულირებელი ვალდებულებები უკვე არსებობს, ის ვალდებულია გააუქმოს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ოპერატორებისთვის დაკისრებული ასეთი ვალდებულებები. რამდენადაც სპეციფიკური ვალდებულებების გაუქმება მნიშვნელოვანია, ისინი პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იყოს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში და კომისია აღიჭურვოს ამ უფლებამოსილებით. წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში არსებული შესაბამისი დებულებები მეთოდოლოგიის მიღების შემდეგ საკმარისი არ იქნება ევროკავშირის დირექტივასთან შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად. აქედან გამომდინარე, სპეციფიკური ვალდებულებების გაუქმება ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში	წინამდებარე საჯარო კონსულტაციების საგანია კომისიის მიერ მისაღები მეთოდოლოგიური წესები და არა ის საკითხი, რა ცვლილება უნდა შევიდეს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში. შესაბამისად, კომენტარი სცდება საჯარო კონსულტაციების საგანს. გარდა ამისა, კომენტარი მცდარია შინაარსობრივი თვალსაზრისით. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კომისიის მიერ ავტორიზებული პირისათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები უნდა შეესაბამებოდეს მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის საბაზრო ძალაუფლებისა და მისი ბოროტად გამოყენების ხასიათს, უნდა იყოს პროპორციულად თანაზომადი და ობიექტურად დასაბუთებული. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კი - თუ მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ არსებობს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი, სპეციფიკური ვალდებულებები უქმდება და ბაზრის შესაბამისი სეგმენტი კონკურენტულად ითვლება. შესაბამისად, მეთოდოლოგიური წესებით გათვალისწინებული წესი გამომდინარეობს უშუალოდ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონიდან და ამ თვალსაზრისით კანონი სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

		გათვალისწინებული უნდა იყოს მარეგულირებელი ორგანოს საკანონმდებლო ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.	
		მთავარი განმარტებითი და პროცედურული პრობლემაა იმ განსხვავებაში, რომ მსძ-ის არსებობის დადგენისთვის ევროკავშირის ჩარჩოთი ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ოპერატორის წილი უნდა აღემატებოდეს 50%-ს, ხოლო კომისიის ახალი მეთოდოლოგიით - 40%-ს.	მეთოდოლოგიური წესები, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების განსაზღვრისას ეყრდნობა როგორც პირველად (საბაზრო წილი აღემატება 40%-ს), ისე - მეორეულ კრიტერიუმებს (ბაზრის ძირითადი სტრუქტურული მახასიათებლების მხედველობაში მიღებით). შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად განსაზღვრის პროცესი არ არის მექანიკური, მხოლოდ საბაზრო წილზე დამოკიდებული და კომისია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების არსებობის საკითხს ყოველთვის აფასებს ევროკავშირის შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტებით განსაზღვრული ბაზრის ძირითადი მახასიათებლების მიხედვით. ესენია: რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურის ქონა, ტექნოლოგიური უპირატესობები, მსყიდველობითი ძალაუფლების დაბალი დონე ან/და არარსებობა და ა.შ. (პროცედურების მე-15 მუხლი). ამავდროულად, არაერთი ევროკავშირში მოქმედი დოკუმენტი (როგორც ევროკომისიის, ისე - ევროკავშირის წევრი ქვეყნების კონკურენციის ორგანოების) მიუთითებს 40%-ზე, როგორც დომინანტური მდგომარეობის მაჩვენებელ პირველად ინდიკატორზე[1].
		ამასთან, როგორც „ასოცირების კვლევაშია“ აღნიშნული, პირველი და მესამე კრიტერიუმები მნიშვნელოვნად ეხება ხელისუფლების ნაკლოვანებებს - როგორც ბაზარზე შესვლის	კომენტარი ემყარება პროცედურებით გათვალისწინებული სამკრიტერიუმიანი ტესტის შინაარსის არასწორ და მანიპულაციურ აღქმას. პროცედურების თანახმად, სამკრიტერიუმიანი ტესტი განიმარტება საუკეთესო

[1] იხ. ევროკომისიის ხედვა, https://competition-policy.ec.europa.eu/antitrust-and-cartels/procedures/article-102-investigations_en, შვედეთის სამეფოს კონკურენციის სააგენტო, https://www.konkurrensverket.se/en/competition/laws-and-rules/

		მარეგულირებელ ბარიერებს, ასევე კონკურენციის კანონის არსებობასა და ეფექტიან იმპლემენტაციას (ჩვეულებრივ, expost რეგულირებით). კომისიის ძირითადი დაშვება მდგომარეობს იმაში, რომ კონკურენციის ყველა შეზღუდვა გამომდინარეობს ოპერატორებიდან და არა ხელისუფლების მხრიდან. ამ კონტექსტში, ისეთი დანაწესი, როგორიცაა „იმ პირობით, თუ არსებული რეგულაციები არ იწვევს ან ხელს არ უწყობს მსძ-ის წარმოქმნას," განხილული უნდა იყოს საქართველოში მიღებული მსძ რეგულაციების შემადგენელ ნაწილად.	საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით და მოიაზრებს მხოლოდ იმ მარეგულირებელ ბარიერებს, რომლებიც კომისიის კომპეტენციის მიღმა შესაძლოა არსებობდეს.
		ბუნდოვანია ჰიპოთეტური მონოპოლისტის ტესტის განმარტება. არ არის ნათელი რა არის გაყიდვების კრიტიკული დანაკარგი. როგორც ჩანს ეს მიუთითებს კონკურენტული ბაზრის მუშაობაზე. ხოლო კლიენტების ნულოვანი დანაკარგი ან მცირეოდენი დანაკარგი შეიძლება მიუთითებდეს მონოპოლიის მექანიზმების გამოყენებაზე.	კომენტარის გათვალისწინებით დაკორექტირდა მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტი და ჰიპოთეტური მონოპოლისტის ტესტის ტერმინში დაზუსტდა, რომ ფასის ზრდა არამომგებიანი უნდა იყოს კომპანიისთვის.
		დადგენილების პროექტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს კონკურენციის კვლევა და ანალიზი ჩაატაროს მთლიან ბაზარზე თუ მის ცალკეულ მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტზე - რაც მნიშვნელოვანი დისკრეციული უფლებამოსილებაა. კომისია შესაძლებლობას იტოვებს რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის განსაზღვრისას დაიწყოს იმ ბაზრის ანალიზი, რომელსაც აირჩევს, იმის აღნიშვნის გარეშე, რომ მჭიდროდ დაკავშირებული განსაზღვრების გამოყენების შემთხვევაში, შედეგები შეიძლება საკმაოდ განსხვავებული იყოს.	კომენტარი ეწინააღმდეგება როგორც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონს, ასევე, დადგენილების პროექტით გათვალისწინებულ პროცედურას და მიდგომებს. კერძოდ: „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის დაწყება კომისიას შეუძლია საკუთარი ინიციატივითაც. ამასთან, ამავე მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს კომისიის უფლებამოსილებას, დისკრეციულად მიიღოს გადაწყვეტილება როგორც მომსახურების მთლიანი ბაზრის, ისე მისი ცალკეული სეგმენტების კვლევისა და ანალიზის ჩატარების თაობაზე. თავის მხრივ, დადგენილების პროექტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულია, რომ „ელექტრონული

			კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სუბიექტის მოთხოვნა ან კომისიის ინიციატივა არ არის ბაზრის შესაბამის სეგმენტზე სპეციფიკური ვალდებულების დაწესების საკმარისი საფუძველი. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე სპეციფიკური ვალდებულების დასაწესებლად უნდა დაკმაყოფილდეს ამ პროცედურებით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმის ტესტი და სხვა წინაპირობები. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს მთელ რიგ პროცედურულ ნორმებს, თუ როგორ უნდა მოხდეს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, სამი კრიტერიუმის ტესტის ჩატარება, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირ(ებ)ის გამოვლენა და სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება. რაც შეეხება ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტს - დადგენილების პროექტის მე-9 მუხლში მოცემულია ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც დგინდება, თუ როგორ და რა შემთხვევაში ხდება ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების განსაზღვრა (ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების ვერტიკალურად ინტეგრირებულობის და ჰორიზონტალური კავშირების რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების, მათი ქსელების ინფრასტრუქტურული კავშირების, მათ შორის, სახელშეკრულებო ურთიერთობების, ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის და ერთობლივი ქმედების განხორციელების შესაძლებლობების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით). ასევე, გაკეთებულია დათქმა, რომ ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტები უნდა განისაზღვროს და მათი კონკურენტუნარიანობის ანალიზი უნდა განხორციელდეს სამი კრიტერიუმის ტესტის და პროცედურით გათვალისწინებული პრინციპების და პირობების შესაბამისად. ამდენად, ცალსახაა, რომ კომისია თითოეულ ეტაპზე ახორციელებს მოცულობით, სიღრმისეულ ანალიზს და განსაზღვრავს შესაბამის ბაზრის სეგმენტს ან მის მჭიდროდ

			დაკავშირებულ სეგმენტს, ავლენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს/პირებს და აკისრებს მას/მათ სპეციფიკურ ვალდებულებებს.
		მე-6 მუხლში (პუნქტი 1) მითითებულია, რომ კომისია აჯგუფებს ურთიერთჩამნაცვლებელ მომსახურებებს ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით ერთგვაროვან ჯგუფებად და განიხილავს მათ ბაზრის ერთი შესაბამისი სეგმენტის ფარგლებში. ბაზრები ხშირად კლასიფიცირდება სეგმენტებად მოთხოვნის ან/და მიწოდების ასპექტების დაჯგუფების საფუძველზე - ოღონდ, მიწოდებისა და მოთხოვნის აბსოლუტური ურთიერთჩანაცვლებადობისგან განსახვავებით, თვითნებობის ელემენტი ყოველთვის არსებობს. ამასთან, მე-6 მუხლი ისეა აგებული რომ კომისიას უტოვებს დიდ დისკრეციას.	მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთჩანაცვლებადობის დადგენა ანალიტიკური პროცესია და უნდა იყოს სწორედ მარეგულირებელი ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება, რომ საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით განსაზღვროს შესაბამისი ბაზრის სეგმენტი. ამასთან, მეთოდოლოგიურ წესებში ხაზგასმულია, რომ ბაზრის შესაბამისი მომსახურებების ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხი უნდა იყო საკმარისად მაღალი. მომსახურებები, რომელთა ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხი დაბალია, კომისიის მხრიდან არ უნდა იქნეს განხილული ბაზრის იმავე სეგმენტის საზღვრებში. ამასთან, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში ხაზგასმულია, რომ შესაბამისი ბაზრის სეგმენტის განსაზღვრა არ არის მექანიკური და აბსტრაქტული პროცესი. იგი საჭიროებს ბაზარზე წარსული ქცევის განმსაზღვრელი ყველა არსებითი ფაქტობრივი გარემოების ანალიზს და სექტორის მუშაობის სრული მექანიზმის გათვალისწინებას (ისევე, როგორც ეს არის მოცემული ევროკომისიის SMP სარეკომენდაციო სახელმძღვანელოში, პარაგრაფი 25). ამდენად, მეთოდოლოგიური წესების შემუშავების მიზანია არა კომისიის დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვა, არამედ, იმ პრინციპების და მიდგომების განსაზღვრა, რომლებსაც კომისია დაეყრდნობა ყოველი ინდივიდუალური საკითხის შესწავლის დროს.
		ისე ჩანს, თითქოს მე-6 მუხლი, თავისი 13 ქვეპუნქტით, დაწერილია კომიტეტის მრავალი წევრის მიერ, რომლებსაც ინდივიდუალური მოსაზრებები აქვთ. ნებისმიერი შემთხვევაში, ამ მუხლიდან ჩანს მსძ პროცედურების ის რთული ლაბირინთები, რომელთა იმპლემენტაციასაც	მეთოდოლოგიური წესების მიხედვით, კომისიამ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად მიჩნევისათვის უნდა დაასაბუთოს, რომ ყველა წინაპირობა დაცულია. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით არ არსებობს თვითნებობის საფრთხე. მეთოდოლოგიური წესებით დეტალურად არის განსაზღვრული როგორც ერთპიროვნული,

		კომისია აპირებს - ლაბირინთები, რომლებითაც საბოლოო ჯამში შესაძლებელი ხდება იმის არჩევა, თუ რომელი პროცედურა უნდა იყოს გამოყენებული (სავარაუდოდ თვითნებურად და არა სისტემატურად, როგორც ევროკავშირის მსძ რეგულაციაშია განსაზღვრული) ანალიზის განსაზღვრის ან მისი შედეგების გადაწყვეტის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, საპირწონედ არაფერია წარმოდგენილი იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანი იქნებოდა კონკურენცია იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული იქნებოდა არაურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების სახეები. ეს, მაგალითად, არის ის, რასაც მომსახურების ინოვაცია ბუნებრივად უკავშირდება.	ისე - ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად მიჩნევის წინაპირობები, როგორც პირველადი, ისე - მეორეული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, კომისია წყვეტს და ასაბუთებს ამა თუ იმ სუბიექტის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად მიჩნევის საკითხს. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ არც ევროკომისიის SMP სარეკომენდაციო სახელმძღვანელო დოკუმენტი დეტალურად არ არეგულირებს ყველა შესაძლო შემთხვევას და მარეგულირებლებს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომ ანალიზი განახორციელონ და შეაფასონ საკითხი ინდივიდუალური საქმისთვის ყველაზე რელევანტური მიდგომებით.
		დადგენილების პროექტის მე-7 მუხლში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „მოთხოვნის მხარისა და მიწოდების მხარის ჩანაცვლება კონკურენტული შეზღუდვის ორი ძირითადი ფაქტორია, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას, სადაც მომსახურების მიწოდება გეოგრაფიულად განცალკევებული ბაზრის შესაბამისი სეგმენტია.“ კერძოდ, ეს საზღვრები უნდა ეფუძნებოდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა „კონკურენტების რაოდენობა და მათი შესაძლებლობები, საბაზრო ხვედრითი წილების განაწილება, დიფერენცირებული ფასები, მომსახურებაზე მოთხოვნის პირობები, განსხვავებული კომერციული პირობები ან მარკეტინგული სტრატეგიები.“ თუმცა, ეს რაოდენობრივი ინდიკატორები ამომწურავია თუ კონტექსტური ფაქტორები თამაშობს როლს? მაგალითად, არის ისეთი სოფლის	დადგენილების პროექტის მე-8 მუხლი (რედაქტირების განხორციელებამდე, მე-7 მუხლი) ეხება ბაზრის შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრების დადგენას და არა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის განსაზღვრას, როგორც ეს არის მოცემული ექსპერტის დასკვნაში და რაც გაკრიტიკებულია მის მიერ. დადგენილების პროექტი დეტალურად ითვალისწინებს პროცესის ცალკეულ ეტაპს და თითოეულ მათგანს აფასებს პროცედურით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. იმისათვის რომ ეს ეტაპები კიდევ უფრო ნათელი გამხდარიყო, დადგენილების პროექტს დაემატა მე-5 მუხლი (კვლევისა და ანალიზის საფეხურები), სადაც ნათლად მითითებულია, რომ სხვადასხვა საფეხურია შესაბამისი საცალო ბაზრის სეგმენტის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების დადგენა, პოტენციურად წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებად ბაზრის გამოვლენა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირ(ებ)ის განსაზღვრა. ამასთან, თავად ბაზრის შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრების დადგენა, რომ უფრო განჭვრეტადი გამხდარიყო,

		ტიპის დასახლებები, რომლებსაც მხოლოდ ერთი ოპერატორი ემსახურება. ტექნიკურად ეს შეიძლება მონოპოლიურ სიტუაციას წარმოადგენდეს, მაგრამ განა ეს მსძ-ის არსებობას ნიშნავს იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაბამისი ოპერატორი ერთადერთი ოპერატორია, რომელსაც სურდა დაეფარა ეს ტერიტორიები და ამით შეიძლება სხვა ოპერატორებზე მეტად შეასრულა დაფარვის ვალდებულებები.	დარედაქტირდა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი (რედაქტირების განხორციელებამდე, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი) და მიეთითა, რომ შესაბამისი გეოგრაფიული არეალების ჩანაცვლებადობის ხარისხი უნდა იყო საკმარისად მაღალი.
		დადგენილების პროექტის მე-7 მუხლში გეოგრაფიული არეალების შერჩევის წესს კომისია კიდევ უფრო ართულებს იმის თქმით, რომ ორი ან რამდენიმე გეოგრაფიული ბაზრის სეგმენტი ბაზრის ერთიანი სეგმენტის ფარგლებში შეიძლება მოექცეს, თუ „აღნიშნული მომსახურებების მიმწოდებლების ქცევაც ერთგვაროვანი იქნება“ ან/და „ბაზარზე მოქმედებს საერთო სატარიფო შეზღუდვა.“ მაგრამ არ არის განმარტებული რა „ქცევაზეა“ საუბარი - მომსახურების ფასზე, მომსახურების ხარისხზე, კლიენტთა ტექნიკურ მხარდაჭერაზე, სხვა რაღაცაზე თუ ყველა ამ ასპექტზე. რაც შეეხება უშუალოდ „სატარიფო შეზღუდვებს,“ აღვნიშნავთ, რომ 2020 წლის ბოლოს სამივე ოპერატორისთვის სატარიფო ლიმიტებისა და შესაბამისი ხარჯების აღრიცხვის ვალდებულებების დაკისრებიდან სულ რაღაც ექვს თვეში კომისიამ	პროცედურების მე-8 მუხლში (რედაქტირების განხორციელებამდე, მე-7 მუხლი) მოცემული პირობა, რომ კომისიას შეუძლია ბაზრის ერთიან სეგმენტში მოაქციოს ორი ან რამდენიმე გეოგრაფიული ბაზრის სეგმენტი (თუ დაკმაყოფილებულია კრიტერიუმები), არის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული მიდგომა. მაგალითისთვის, იხილეთ გაერთიანებული სამეფოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს (OFCOM) მიერ განხორციელებული 2018-2021 წლების მობილური ზარის დასრულების ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც, მარეგულირებელმა ორგანომ მოახდინა ბაზრების აგრეგაცია ანალოგიური კრიტერიუმების გამოყენებით.[2] გარდა ამისა, მოყვანილი მაგალითი სატარიფო რეგულირებასთან დაკავშირებით რელევანტური არ არის ბაზრის განსაზღვრის ეტაპის მომწესრიგებელი მეთოდოლოგიური წესების შესაფასებლად.

[2] Final statement: Mobile call termination market review 2018-21, https://www.ofcom.org.uk/consultations-and-statements/category-1/mobile-call-termination-market-review; Narrowband Market Review: Statement Markets, market power determinations and remedies for wholesale call termination, wholesale call origination and wholesale narrowband access markets https://www.ofcom.org.uk/__data/assets/pdf_file/0020/108353/final-statement-narrowband-market-review.pdf

		თავისი გადაწყვეტილებები გაუმჯობესებულ კონკურენტულ გარემოზე მითითებით გააუქმა.	
		[მე-8 მუხლით] მოითხოვება „ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების“ განსაზღვრა და, სავარაუდოდ, ამ დაკავშირებული ფაქტორების გამო მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების არსებობის განსაზღვრა. ამ ფაქტორებში შედის „ვერტიკალური ინტეგრირებულობა,“ „ჰორიზონტალური კავშირები,“ „სახელშეკრულებო ურთიერთობები“ და „ურთიერთდამოკიდებულება.“ თუმცა ეს მუხლი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ ევროკავშირის დირექტივის 64-ე მუხლს ასახავს, მასში ჩადებულია განუსაზღვრელი რაოდენობის შესაძლებლობები. თუ მათ კომისია გულდასმით შეასრულებს, შეიძლება მივიღოთ რთული მარეგულირებელი ჩარჩო. შესაბამისად, ის ოპერატორებს აყენებს თავდაცვის პოზიციაში - მათ საკუთარი თავი უნდა შეამოწმონ მათ მიერ სავარაუდოდ განსახორციელებელი ყველა იმ შესაძლო ქმედების (ან მათი ინტერპრეტაციების) შუქზე, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრა.	კომენტარი ემყარება პროცედურების შინაარსის არასწორ აღქმას. კერძოდ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ერთმანეთშია არეული, ერთი მხრივ, ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისა და, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების განსაზღვრის პროცესი. პროცედურებით გათვალისწინებულია მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს მჭიდროდ დაკავშირებული ბაზრის სეგმენტების შეფასების კრიტერიუმებს. დასახელებული კრიტერიუმების საფუძველზე კომისია ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რაც არა მხოლოდ არ აყენებს ოპერატორებს „თავდაცვით პოზიციაში“, არამედ - პირიქით, ადგენს მათთვის განჭვრეტადი და სამართლიანი ბაზრის სეგმენტის განსაზღვრის პირობებს. გარდა ამისა, კომენტარში განვითარებული მსჯელობა „თავდაცვით პოზიციაში“ ჩაყენების თაობაზე, ერთი შეხედვით ემყარება ზედაპირულ დაშვებას, რომ ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტის განსაზღვრა ავტომატურად გულისხმობს მასზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის განსაზღვრას და მისთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებას. მეთოდოლოგია ითვალისწინებს საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის განსაზღვრისა და მისთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების სკურპულოზურ კრიტერიუმებს და წინაპირობებს (როგორებიცაა, მაგალითად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად მიჩნევის პირველადი და მეორეული კრიტერიუმები, თანაზომიერების პრინციპი და ა.შ.), რომელთა დაკმაყოფილების გარეშე, ავტომატურად, ვერ მოხდება ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის დადგენა და მისთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება.

		ამ მუხლში [პროცედურების მე-9 მუხლი] კომისია მიუთითებს იმაზე, რომ წინასწარი რეგულირების საჭიროების განსაზღვრის პრინციპია იმის დადგენა, არის თუ არა და დარჩება თუ არა ბაზრის საცალო სეგმენტი ეფექტური კონკურენციისკენ მიდრეკილი საბითუმო რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში. ამისათვის, კომისიამ ბაზრის შესაბამისი სეგმენტი უნდა შეამოწმოს „მომავალზე ორიენტირებულობის პრინციპით, ... [მისი] სავარაუდო განვითარების შეფასების გზით ... და „საბოლოო მომხმარებლის პერსპექტივის“ მხედველობაში მიღებით. ამ კონტექსტში უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ამ წარმოდგენილი მიდგომით ხდება დაშვება, რომ ბაზარი მდგრადი დარჩება შესაბამის „მომავალ“ პერიოდში. ეს შეიძლება წინააღმდეგობრივი მოთხოვნა იყოს იმდენად, რამდენადაც კონკურენტუნარიანი ბაზრები პრინციპში ცვლილებას ექვემდებარება. ასეთი ცვლილება შეიძლება მოვიდეს ახალი ტექნოლოგიის, მომსახურების სახეების ინოვაციების ან ახალი სატარიფო სტრატეგიების (ერთი ან რამდენიმე ოპერატორის შემთხვევაში) და თვით ახალი მარეგულირებელი ზომების, მაგ., დამატებითი სპექტრის გაცემის, სახით.	ანალოგიურ პრინციპს ემყარება ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტები[3]. ამასთან, ბაზარზე მდგომარეობის ცვლილების შემთხვევაში პროცედურები ითვალისწინებს დაწესებული სპეციფიკური ვალდებულებების გადახედვის შესაძლებლობას. შესაბამისად, არ არის დასაბუთებული კომენტარში მითითებული „წინააღმდეგობრიობა“.
		მე-10 მუხლი განსაზღვრავს მე-9 მუხლში მითითებული შეფასებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებებს შედეგებს, ამ შეფასების შედეგების საფუძველზე. ეს გადაწყვეტილებებია:	პროცედურებით განსაზღვრულის ანალოგიური მიდგომაა გათვალისწინებული ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებში[4]. კომისიის დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს მის შეუზღუდავ ძალაუფლებას. კომისიის მიერ

[3] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, C/2018/2374, 1.3

[4] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, C/2018/2374

		(1) ბაზრის საბითუმო სეგმენტის წინასწარი რეგულირება არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, თუ ბაზარი სავარაუდოდ კონკურენტუნარიანი დარჩება; (2) თუ ეს ასე არ იქნება, „მომხმარებელთა ზიანის რისკისა“ და იმის შეფასების საჭიროება, შესაძლებელია თუ არა ის აღმოიფხვრას წინასწარი რეგულირებით, და (3) საბითუმო ბაზრის სეგმენტის რეგულირებ(ებ)ის საჭიროება. ამასთან, ამ მესამე მოქმედების განხორციელების წესი უნდა ექვემდებარებოდეს სხვადასხვა პირობას, მათ შორის: (ა) რეგულირების შეფასება მოთხოვნისა და მიწოდების (რამდენადაც ეს აქტუალურია) ურთიერთჩანაცვლებადობის თვალსაზრისით, (ბ) „საინვესტიციო კიბის პრინციპის“ გათვალისწინება (იხილეთ მე-2 მუხლის მიმოხილვა), და (გ) იმ გარემოების გათვალისწინება, „რომ ზოგიერთი საცალო ბაზრის სეგმენტი, შესაძლოა დაკავშირებული იყოს საბითუმო ბაზრის ერთზე მეტ სეგმენტთან.“ ეს სხვადასხვა გასათვალისწინებელი პირობა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ კომისიას მნიშვნელოვანი სამანევრო სივრცე ექნება რეგულირების მექანიზმ(ებ)ის განსაზღვრისას, მაგრამ, იქნება იმის შესაძლებლობაც, რომ მისი გადაწყვეტილებები სხვადასხვა საფუძვლით დაექვემდებაროს გასაჩივრებას.	დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება თითოეულ შემთხვევაში დასაბუთებული უნდა იყოს.
		ამავე დროს, მნიშვნელოვანია კომისიის მიერ იმის აღიარება, რომ „სამართლებრივ ან მარეგულირებელ ბარიერებს ... შესაძლებელია ჰქონდეს პირდაპირი ეფექტი პირის ბაზარზე შესვლის პირობებზე.“ უფრო კონკრეტულად, რომ „ავტორიზაციის პროცედურებს, ტერიტორიულ	დებულება „სამართლებრივი და მარეგულირებელი ბარიერების რელევანტურობა ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში მცირდება“ უფრო მეტად დესკრიფციული იყო, ვიდრე ნორმატიული და გაურკვევლობის

		შეზღუდვებს, უსაფრთხოების სტანდარტებს და სხვა სამართლებრივ მოთხოვნებს, შესაძლოა ჰქონდეთ ბაზარზე შესვლის შემაკავებელი ან შემაყოვნებელი ეფექტი.“ ამასთან, კომისია ამ აღიარებას თან ურთავს საწინააღმდეგო განცხადებას მასზე, რომ „სამართლებრივი და მარეგულირებელი ბარიერების რელევანტურობა ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში მცირდება,“ და დასძენს, რომ „სამართლებრივი და მარეგულირებელი ბარიერი, რომლებიც სავარაუდოა, რომ გაუქმდება 3 წლის ვადაში, როგორც წესი, არ იქნება განხილული ბაზარზე შესვლის ბარიერად პირველი კრიტერიუმის მიზნებისთვის.“ „კომისია არ აკონკრეტებს, ასეთი „რელევანტურობა“ როგორ მცირდება. სავარაუდოდ, ის არ გულისხმობს მარეგულირებელ, სალიცენზიო და სხვა ბარიერებს, რომლებიც კვლავ უარყოფითად მოქმედებს ოპერატორების შერწყმაზე, სპექტრით ვაჭრობაზე, სალიცენზიო უფლებების ვადის გახანგრძლივებაზე და ა. შ.).	თავიდან ასაცილებლად ამოღებულ იქნა პროცედურების პროექტიდან.
		რაც შეეხება მესამე კრიტერიუმს, კომისია აღნიშნავს „კონკურენციის სამართლის საკმარისობას“ და დასძენს, რომ „მაშინ როდესაც ბაზარზე არსებული კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად ხშირი ან/და დროული ჩარევაა აუცილებელი,	დებულება სიტყვასიტყვით არის გადმოტანილი ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებიდან.[5] პროცედურები ამ ნორმით კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს ზოგადი კონკურენციის სამართლის როლს, თუმცა საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად, საკმარისად არ მიიჩნევს ზოგადი კონკურენციის სამართლით

[5] COMMISSION RECOMMENDATION of 18.12.2020 on relevant product and service markets within the electronic communications sector susceptible to ex ante regulation in accordance with Directive (EU) 2018/1972 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 establishing the European Electronic Communications Code , recital 17 - “Competition law based interventions are likely to be insufficient where frequent and/or timely intervention is indispensable to redress persistent market failure(s).”

		შესაძლოა, კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერვენციები საკმარისი არ იყოს.“ აქ კომისია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ex-post რეგულირების მექანიზმების მნიშვნელობას და კონკურენციის კანონმდებლობის ტრადიციული გამოყენების საწინააღმდეგოდ აძლიერებს თავის საკუთარ მარეგულირებელ როლს. აღვნიშნავთ, რომ კომისია ამას აკეთებს მის მიერ მანამდე პირველ ორ კრიტერიუმთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტებისა და იმის გვერდით ავლით, წინასწარი რეგულირებითაც როგორ არის შესაძლებელი ბაზრის კონკურენტუნარიანი გარემოს შეზღუდვა.	გათვალისწინებულ მექანიზმებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბაზარს სისტემური ჩავარდნები აქვს და დროული/ხშირი ჩარევაა აუცილებელი. გარდა ამისა, კონკურენციის პრობლემა მართლაც რომ იყოს გამოწვეული კონკურენციის წინასწარი რეგულირებით, მის აღმოსაფხვრელად სპეციფიკური ვალდებულების დაკისრება არ შეესაბამება არც კანონის და არც პროცედურების მოთხოვნებს, ვინაიდან კანონისა და პროცედურების კატეგორიული მოთხოვნაა, რომ დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები უნდა იყოს კონკურენციის პრობლემის თანაზომიერი. ცხადია, კონკურენციის წინასწარი რეგულირებით გამოწვეულ პრობლემასთან მიმართებით თანაზომიერი ღონისძიება ვერ იქნება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირისთვის სპეციფიკური ვალდებულების დაკისრება.
		მე-13 თავში ჩარჩენილია არასწორი მიმართვა მე-11 თავზე „XI”	პროექტი დაკორექტირდა წარმოდგენილი კომენტარის გათვალისწინებით.
		ამავე დროს, კომისია არ ადგენს რაიმე ნიშნულს იმასთან დაკავშირებით, რამდენ ხანს აჭარბებდა ოპერატორი ზემოთ განსაზღვრულ დონეს (მაგ., ერთი წლის ერთი კვარტალი თუ სამი ან ოთხი წელი), რითაც ტოვებს მნიშვნელოვან სამანევრო სივრცეს იმის განმარტებისას, რას შეიძლება ნიშნავდეს ამ ნიშნულის გადაჭარბება. შესაბამისად, კომისია არაფერს ამბობს, როგორ უნდა დარეგულირდეს იმ შემთხვევა, როცა ოპერატორი თავისი ზღვრული წილის დონეს გადააჭარბებს ბაზრის ერთ სეგმენტზე (მაგ., მობილურ აბონენტების სეგმენტზე), მაგრამ არ აჭარბებს მას - ლიდერის პოზიციასაც კი ვერ იკავებს - სხვა	კომენტარის ავტორს არ წარმოუდგენია საკუთარი პოზიციის გამამყარებელი არგუმენტაცია, ასევე არ მიუთითებია რომელიმე საერთაშორისო დოკუმენტზე ან პრაქტიკაზე, სადაც მსგავსი მიდგომა გამოიყენება. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის წილის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა აქვს დინამიკას (ტენდენცია მზარდია თუ კლებადია) და მის მდგრადობას (ტენდენცია სტაბილურია თუ მაღალი ვოლატილობით ხასიათდება). აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება კონკრეტული, სტანდარტიზებული პერიოდის განსაზღვრა, რომლის განმავლობაშიც ავტორიზებული პირი უნდა ფლობდეს ბაზრის მაღალ წილს, იმისათვის რომ ძირითადი კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად იქნეს მიჩნეული. გარდა ამისა, აღნიშნული მიდგომა გამოიწვევდა მნიშვნელოვანი საბაზრო

		სეგმენტზე (მაგ., მობილური ინტერნეტის აბონენტებზე სეგმენტზე).	ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მექანიკურ პროცესად გადაქცევას, რაც არ არის თავსებადი საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან.
		მე-14 მუხლში „ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა და ძვირადღირებული პატენტებისა და ლიცენზიების ფლობა“ წარმოდგენილია მსძ-ის პოტენციური არსებობის ინდიკატორებად და აღნიშნულია, რომ ისინი მიჩნეული უნდა იყოს იმ უპირატესობებად, რომლებიც „აძლევს ავტორიზებულ პირს კონკურენტებისგან და მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას.“ ამის საწინააღმდეგოდ, აღვნიშნავთ, რომ ასეთი უპირატესობები შეიძლება უბრალოდ ეფექტიანი კონკურენციის ნიშნები იყოს იქიდან გამომდინარე, რომ ოპერატორი მზად არის გაწიოს საინვესტიციო რისკი (ე. ი., მოცემული ტექნოლოგიის ადრეულ ეტაპზე დანერგვით) ან განახორციელოს ინოვაცია ტექნოლოგიის გამოყენების საფუძველზე. ამ მუხლის ეს ასპექტი შეიძლება იმ სიტუაციაშიც კი იყოს გამოყენებული, როცა ახალი ტექნოლოგიის (მაგ., 5G-სთან დაკავშირებული ტექნოლოგიის) გამოყენება მარეგულირებელი ვალდებულებით მოითხოვება და როცა ერთი ოპერატორი ამ მოთხოვნას სხვებზე ადრე ასრულებს, რითაც იქმნება „ტექნოლოგიური უპირატესობა.“ უკიდურეს ვარიანტში, გამოდის, რომ ადრინდელი მობილური ოპერატორები ფიჭურის წინა ტექნოლოგიებით (ე. ი., მობილური რადიო გადამცემებით, რომლებიც 1970-იან წლებში	კრიტერიუმი არ მოიცავს ბაზარზე პირველი შემსვლელის უპირატესობის შეფასებას. კრიტერიუმის ფარგლებში უნდა შეფასდეს, რამდენად შეუძლიათ სხვა ეკონომიკურ აგენტებს აღნიშნული ტექნოლოგიის დანერგვა/მოწყობა. ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად განსაზღვრის კრიტერიუმად გათვალისწინება არ ეწინააღმდეგება ინოვაციების განვითარებას, იგი უზრუნველყოფს, რომ ინოვაციური ტექნოლოგიები არ იქნეს გამოყენებული კონკურენციის გაუმართლებლად შესაზღუდად. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კრიტერიუმია გათვალისწინებული ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებით.[6]

[6] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, 2018/C 159/01, para. 58 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018XC0507%2801%29

		თანამდებობის პირების ავტომანქანებსა და ლიმუზინებში გამოყენებისთვის არსებობდა) უნდა შემოფარგლულიყვნენ, ვინაიდან თუ ახალ ფიჭური ქსელის ტექნოლოგიებსა და მათთან დაკავშირებულ პორტატულ ტელეფონებს პირველები დანერგავდნენ, ისინი მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონედ შეიძლება შერაცხულიყვნენ.	
		ამ მუხლში ოპერატორის პოტენციური უპირატესობის სახით დასახელებულია კაპიტალთან და ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა, რომელიც გამომდინარეობს ავტორიზებული პირის მოცულობიდან, საკუთრების ტიპიდან, ან ადგილობრივ და საერთაშორისო ჯგუფთან აფილირებულობიდან გამომდინარე. მისი გამოყენება შეიძლება რელევანტური იყოს იმდენად, რამდენადაც ჯეოსელმაც (ახლა სილქნეტი) და ვიონმაც/ბილაინმაც (ახლა სელფი) ამ ბოლო წლებში საკუთრების სტრუქტურაში ცვლილებები განახორციელეს, რაც გარკვეული დოზით მაგთიკომმაც გააკეთა. ვიონი (ადრე ვიმპელკომი) იმ უფრო მსხვილი მობილური ოპერატორის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც ოპერირებდა 20 ქვეყანაში, მათ შორის, კანადაში, ეგვიპტესა და იტალიაში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების უმეტესობაში (და ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და პაკისტანში ახლაც ოპერირებს). 2018 წლამდე ჯეოსელი იყო იმ მსხვილი სკანდინავიური ოპერატორის (თელიასონერას) შემადგენლობაში, რომელიც	კრიტერიუმი ნამდვილად არ უნდა იყოს გამოყენებული გამარტივებულ, ავტომატურ რეჟიმში, ის ასევე უნდა მოიცავდეს კონკურენტების კაპიტალის მართვის შესაძლო გავლენას. აღნიშნულის მიზანია დადგინდეს, შეუძლია თუ არა პოტენციურად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს იმოქმედოს ისეთი კონკურენტებისგან დამოუკიდებლად, რომლებსაც აქვთ ფინანსური ძალა ირეაგირონ პოტენციურად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის ახალ შემოთავაზებებზე ან ალტერნატიულად განახორციელონ მომსახურების მიწოდება, რომელიც უზრუნველყოფს პოტენციური მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის კონკურენტულ შეზღუდვას. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კრიტერიუმია გათვალისწინებული ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებით.[7]

[7] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, 2018/C 159/01, para. 58 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018XC0507%2801%29

		ბალტიისპირა ქვეყნებშიც ოპერირებდა, რა დროსაც ის გახდა სილქნეტის ნაწილი, რომელიც თუმცა საქართველოზეა ფოკუსირებული, საერთო ჯამში მაგთიკომზე მსხვილ სატელეკომუნიკაციო კომპანიას წარმოადგენს.	
		როგორც კომისია მიუთითებს, ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დივერსიფიცირებული მომსახურების სახეების პორტფელის მქონე ავტორიზებულ პირს უკეთესი პოზიცია გააჩნია იმ სხვა ავტორიზებულ პირთან შედარებით, რომელსაც ეკვივალენტური პაკეტის შეთავაზება მხოლოდ გარეშე სუბიექტებთან გარიგებების გზით შეუძლია. ამის გამო მომსახურების პაკეტები უნდა აიკრძალოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მომხმარებლებისთვის სასარგებლოა? სავარაუდოდ, ისინი ნებადართული უნდა იყოს, ვინაიდან მათი აკრძალვა მომხმარებლებზე უარყოფით გავლენას იქონიებდა ისევე, როგორც განსაზღვრულ პაკეტებზე მონოპოლიაც სავარაუდოდ უარყოფით გავლენას იქონიებდა. კომისია რეალურად არ გვთავაზობს, როგორ უნდა გაივლოს საზღვარი მომხმარებლისთვის სასარგებლო პაკეტებსა და იმ პაკეტებს შორის, რომლებიც უბრალოდ მსძ-ს უწყობს ხელს.	კრიტერიუმი არ ზღუდავს კომბინირებულ შეთავაზებებს, არამედ აფასებს, რამდენად აძლიერებს კომბინირებული შეთავაზებების მიწოდება ბაზარზე კონკრეტული ეკონომიკური აგენტების შედარებით საბაზრო პოზიციებს. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კრიტერიუმია გათვალისწინებული ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებით.[8]
		ამავე დროს, როგორც 7.3 პუნქტში ჩვენს მიერ დაწვრილებით არის განხილული, მასშტაბის ეკონომიის გაანგარიშება სხვადასხვა სახით არის შესაძლებელი - აბონენტთა რაოდენობის, შემოსავლების, ინფრასტრუქტურაში	კომენტარი ეფუძნება კრიტერიუმის შინაარსის არასწორ აღქმას. მასშტაბის ეკონომია და მომსახურების მრავალფეროვნებით განპირობებული ეკონომია არ ეხება სხვადასხვა ოპერატორის მიერ ერთი და იმავე ინფრასტრუქტურის გამოყენებას. აღნიშნული კრიტერიუმი

[8] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, 2018/C 159/01, para. 58 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018XC0507%2801%29

		განხორციელებული ინვესტიციისა და ა. შ. საფუძველზე. ამ უკანასკნელი თვალსაზრისით, მაგთიკომის ქსელი ყველაზე დიდია, მაგრამ სადენებზე წვდომას უფრო სილქნეტი აკონტროლებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბერკეტები მრავალია. რომლებიც, კომისიის აზრით, შეიძლება გათანაბრდეს „ერთი და იმავე ინფრასტრუქტურის“ საშუალებით რამდენიმე ოპერატორის მომსახურების მიწოდებით. უფრო მეტიც, ამით მცირდება ერთეული მომსახურების საშუალო ხარჯი. ამასთან, ჩვენი აზრით ეს კონკურენციასაც ამცირებს, რომ არაფერი ვთქვათ ქსელის სრულად დაუტვირთაობაზე და ხშირად ხარისხზე. ერთი და იმავე ინფრასტრუქტურის გამოყენების უარყოფითი მხარე გამოვლინდა მსოფლიოს მრავალ რეგიონში ჩვენს მიერ არაერთი შესაბამისი ინიციატივის შეფასების შედეგად.	აწესებს კომისიის მიერ იმ შესაძლო კონკურენტული უპირატესობის შეფასებას, რაც შეიძლება ახლდეს თან მომსახურების მრავალფეროვნებას - კერძოდ, ერთი ოპერატორის მიერ მრავალფეროვანი მომსახურების გაწევით განპირობებულ ეკონომიას. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კრიტერიუმია გათვალისწინებული ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებით.[9]
		მე-14 მუხლი ასევე უკავშირდება იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორების არსებობით, როცა მათ კონკურენტებს იგივე უპირატესობა არ გააჩნიათ. ამან მათ შეიძლება „მიანიჭოს კონკურენტული უპირატესობა სხვებთან ... შედარებით, რადგან მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ აბონენტებისთვის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა, შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის პროცესს და მყისიერი რეაგირება	კომენტარი ეფუძნება კრიტერიუმის შინაარსის არასწორ აღქმას. კერძოდ, ფუნქციონალური გამიჯვნა განეკუთვნება სპეციფიკურ ვალდებულებებს, ხოლო ვერტიკალურად ინტეგრირებულობის კრიტერიუმი უკავშირდება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების არსებობის შეფასებას. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კრიტერიუმია გათვალისწინებული ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებით.[10]

[9] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, 2018/C 159/01, para. 58 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018XC0507%2801%29

[10] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, 2018/C 159/01, para. 58 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018XC0507%2801%29

		მოახდინონ ბაზრის პოტენციურ ცვლილებებზე.“ ვიზიარებთ იმას, რომ ეს წუხილები საფუძვლიანია. ამავე დროს, საბითუმო და საცალო ოპერაციების სრულად განცალკევებას, რაც არაერთმა ხელისუფლებამ სცადა, უფრო ხშირად ცუდი შედეგები ჰქონდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (მე-17 სქოლიო), ასეთი შემთხვევები არაერთი ქვეყნის მაგალითზე გამოვიკვლიეთ და ზოგადად დავადგინეთ, რომ საცალო ოპერატორებს არ სურთ განცალკევებული საბითუმო ოპერატორებისა და ქსელების გამოყენება (ეს ასე არ მოხდა სინგაპურის შემთხვევაში, მაგრამ იქ „განცალკევებების“ პროცესმა მომსახურების უფრო მაღალი ფასები განაპირობა).	
		ამ მუხლში ასევე საუბარია იმ შესაძლებლობაზე, რომ პოტენციური კონკურენტები ბაზარზე არ არიან წარმოდგენილი მსძ ქცევის გამო, მათ შორის, იმის გამო, რომ ფასები მათთვის ძალზე დაბალია იმისათვის, რომ ბაზარზე შესვლა და ეფექტიანი კონკურენციის გაწევა შეძლონ. მოკლედ რომ ვთქვათ, კომისიას, როგორც ჩანს, აქვს კონცეფცია, რომლის მიხედვითაც გაზრდილი ფასები გამოიყენება კონკურენციის სტიმულირებისთვის. ეს ეწინააღმდეგება კონკურენციის მიზნებს, რომ ფასები უფრო დაბალი იყოს (გარდა იმ მომენტისა, როცა ესენი დროებით გამოიყენება არსებული კონკურენტის გადარჩენისთვის ძირის გამოსათხრელად). ის ასევე ბადებს კითხვას იმაზე, თუ რას გვთავაზობს კომისია: რომ ფასების ზრდა ბაზარზე ახალი ავტორიზებული პირების	კომენტარი ეფუძნება კრიტერიუმის შინაარსის არასწორ აღქმას. კრიტერიუმი ეხება არა შესაძლო ზიანის თეორიას (რომელიც დეტალურად უნდა იქნეს განხილული სპეციფიკური ვალდებულებების პროპორციულობის დასაბუთების ეტაპზე). კრიტერიუმი უკავშირდება საბაზრო ძალაუფლების შეფასებას, რომელიც, ცხადია უფრო მაღალი იქნება, თუ არ არსებობენ ბაზარზე პოტენციურად შემომსვლელები. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კრიტერიუმია გათვალისწინებული ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებით.[11]

[11] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, 2018/C 159/01, para. 58 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018XC0507%2801%29

		შემოსვლის ხელშეწყობის გზაა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ზომისა და ეკონომიკური დონის ბაზარზე მოქმედი ოთხი ოპერატორის შემთხვევები მთელს დედამიწაზე არსებითად არ არსებობს?	
		კომისია დასძენს, რომ „თუ ცალკეული კრიტერიუმი არ იქნება საკმარისი ავტორიზებული პირის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრისთვის, კომისიამ აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყვიტოს ... ფაქტორების კომბინირებულად შეფასების გზით.“ ეს ბადებს კითხვას იმაზე, ასეთი კომბინირებული შეფასებები როგორ უნდა ჩატარდეს და ორი ან მეტი ფაქტორების საფუძველზე მსძ რაოდენობრივად როგორ განისაზღვრება. და მსძ-ის განსაზღვრის პოტენციური ლაბირინთები კიდევ უფრო რომ გაართულოს, კომისია დასძენს, რომ [ამ მუხლში] განსაზღვრული კრიტერიუმების პარალელურად ან მათი ალტერნატივის სახით, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს სხვა კრიტერიუმები ერთობლივად ან ცალ-ცალკე. ეს განუსაზღვრელობა ნაკლებად მიუთითებს ობიექტურ და დაბალანსებულ შეფასებაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ, როგორც კომისია ვარაუდობს, იმის დადასტურება, რომ რომელიმე ზემოაღნიშნული ფაქტორი გამოიყენება, დააკმაყოფილებს მსძ-ის განსაზღვრის მოთხოვნას. სავარაუდოდ ეს იქნება ის შემთხვევა, როცა ამ ფაქტორებიდან რამდენიმეს შეფასება შეიძლება იძლეოდეს კონკურენტუნარიანი ბაზრის არსებობის ვარაუდის საფუძველს. სხვა სიტყვებით რომ	პროცედურები ამ ნაწილში კომენტარების შესაბამისად დაკორექტირდა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე კრიტერიუმი [მეორეული კრიტერიუმები], შესაძლოა, განცალკევებულად არ იყოს საკმარისი ავტორიზებული პირის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრისთვის. კომისიამ საკითხი უნდა გადაწყვიტოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფაქტორებისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პირველადი კრიტერიუმის კომბინირებულად შეფასების გზით“ (პროცედურები, მუხლი 15). აღსანიშნავია, რომ საკითხი არის მოწესრიგებული ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებით.[12] ამავდროულად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის კრიტერიუმები შეიძლება შეფასდეს, როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი ინდიკატორების გათვალისწინებით. აღნიშნულ ფორმატში რთული იქნება იმის დემონსტრირება, როგორ უნდა მოხდეს ორი ან მეტი კრიტერიუმის კომბინირებულად რაოდენობრივი ინდიკატორის გათვალისწინებით შეფასება. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას კრიტერიუმების ერთობლიობით კომისიამ ნათლად და ობიექტურად უნდა აჩვენოს, რომ ავტორიზებულ პირს გააჩნია საკმარისი ეკონომიკური ძალა, რომ იმოქმედოს მომხმარებლებისგან და კონკურენტებისგან დამოუკიდებლად. რაც შეეხება ღია საფუძვლის არსებობას, პროცედურები, ისევე როგორც

[12] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, 2018/C 159/01, para. 58 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018XC0507%2801%29

		ვთქვათ, ამ ფაქტორებიდან ზოგიერთის შეფასება შეიძლება ეფექტიანი კონკურენციის არსებობაზე მიუთითებდეს, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ამის გასაჯაროება საჭირო იქნება ან საერთოდ გათვალისწინებული იქნება მე-14 მუხლის თანახმად მსძ-ის შეფასებისას.	ევროკავშირში მოქმედი სახელმძღვანელო პრინციპები, არ შეიცავს SMP-ს შეფასების კრიტერიუმების სრულ ჩამონათვალს. შესაბამისად, კომისიას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, გამოიყენოს სხვა, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტში ასახული კრიტერიუმების ეკვივალენტური კრიტერიუმები. ცხადია, თითოეულ შემთხვევაში კომისიის მიერ კრიტერიუმების გამოყენება და შეფასება მოხდება დასაბუთებულად.
		ამ მუხლში ყურადღება მახვილდება ორი ოპერატორის ან სამივე ოპერატორის მიერ ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების გამოყენებაზე. ის მრავალი გზა, რომლებითაც ეს შეიძლება მოხდეს, ასახულია იმ საბაზრო ანალიზების გრძელ სიაში, რომლებსაც კომისია ადგენს სამ ან ორ ოპერატორს შორის ოლიგოპოლიური ქცევის არსებობის დასადგენად. კომისიის მიერ განსაზღვრულ მსძ ანალიზების მიზნებში შედის: - „არსებობს თუ არა ბაზარზე ძლიერი მასტიმულირებელი მექანიზმები იმისათვის, რომ ოპერატორებმა იმოქმედონ კოორდინირებულად და თავი შეიკავონ კონკურენტულ ქცევაზე დამოკიდებულებისგან,“ - არსებობს თუ არა „საკმარისი მასტიმულირებელი ფაქტორები, რათა უსიტყვო კოორდინაციის თითოეული მონაწილე არ გადავიდეს საერთო პოლიტიკიდან,“	კომენტარი ეფუძნება პროცედურების ნორმების შინაარსის არასწორ აღქმას. წინა მუხლში (პროცედურების მე-15 მუხლში) ასახული კრიტერიუმები შეეხება ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენას და არარელევანტურია ერთობლივად მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირ(ებ)ის გამოვლენისთვის. ერთობლივად მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე პირების გამოსავლენად პროცედურებით ექსპლიციტურად არის დადგენილი, რომ ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენისთვის ძირითად კრიტერიუმთან ერთად საჭიროა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული მეორეული კრიტერიუმების დაკმაყოფილება. კერძოდ, საჭიროა ამავე დებულებით დადგენილი სამი წინაპირობის კუმულატიურად დაკმაყოფილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მცდარია კომენტარში წარმოდგენილი დასკვნა.

		- არის თუ არა „უსიტყვო კოორდინაციის მდგომარეობა მდგრადი [როგორც უნდა იყოს], კერძოდ უნდა არსებობდეს საკმარისი მასტიმულირებელი ფაქტორები, რომ არ მოხდება საერთო პოლიტიკიდან გადახვევა,“ - „უსიტყვო კოორდინაციის მდგომარეობა უნდა იყოს მდგრადი, კერძოდ უნდა არსებობდეს საკმარისი მასტიმულირებელი ფაქტორები, რომ არ მოხდება საერთო პოლიტიკიდან გადახვევა,“ - „არსებობს თუ არა ბაზარზე ძლიერი მასტიმულირებელი მექანიზმები, იმისათვის, რომ ოპერატორებმა იმოქმედონ კოორდინირებულად და თავი შეიკავონ კონკურენტულ ქცევაზე დამოკიდებულებისგან,“ - არის თუ არა „ფასების მჭიდრო თანხვედრა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებით თუ ისინი კონკურენტულ დონეზე მაღალია,“ - „ავტორიზებული პირი ხშირად ამბობს [თუ არა] უარს გონივრული პირობებით საბითუმო დაშვების მომსახურების მიწოდებაზე,“ - არსებობს თუ არა „უკუქმედების (დამსჯელი) მექანიზმები ... მაგალითისთვის, ორ ან მეტ კომპანიას შორის მოკლევადიანი საფასო ომი,“	

		- „საბოლოო მომხმარებლების რეაგირება, რომელიც გამომდინარეობს ფასების ცვლილებიდან და გამოიხატება მომხმარებლის პორტაბელურობით ან მომსახურების მოხმარების შეწყვეტით, შესაძლოა [თუ არა] მიუთითებდეს უკუქმედების (დამსჯელი) მექანიზმის არსებობაზე,“ - „მარეგულირებელი შეზღუდვების არსებობას, მაგალითად, სიხშირულ სპექტრთან დაკავშირებით განხორციელებულ პოლიტიკას შეუძლია [თუ არა] შეზღუდოს მობილური ქსელის ოპერატორების რაოდენობა და ა.შ.“ საერთო ჯამში, ეს ძალზე გრძელი ჩამონათვალია. თუმცა, წინა მუხლიდან გამომდინარე, გამოდის, რომ თუ ამ პირობებიდან მხოლოდ ერთ-ერთის არსებობა დადგინდება, მსძ-ის პირობები დაკმაყოფილდება მიუხედავად იმისა, თუ შემოწმებული პირობების დიდი რაოდენობა ამის დადგენის საფუძველს არ იძლევა.	
		ამ ეტაპზე, უბრალოდ აღვნიშნავთ იმ სირთულეებს, რომლებიც თან ახლავს კომისიის მიერ დადგენილ პირობებს. ვიწყებთ უკანასკნელით. მისი შეტანა პოზიტიურია იმ გაგებით, რომ ის აღიარებს, რომ თვითონ რეგულაციებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს მსძ-ზე ორიენტირებულ პირობებს. თუმცა, კონკრეტული ვარაუდი მასზე, რომ სპექტრის უფრო მეტი სუბიექტებისთვის ხელმისაწვდომობა კონკურენციას ხელს შეუწყობდა, მინიმუმ უნდა დაკვალიფიცირდეს.	საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების შესაბამისად დებულება დაკორექტირდა და კრიტერიუმი ამოღებულ იქნა.

		იმ შესაძლო შედეგთა შორის, რაც ხშირად ხდება იმ ქვეყნებში, სადაც საკმარისზე მეტ ოპერატორზე გაიცემა ლიცენზია და ნაწილდება სპექტრი, არის ის, რომ ცოტა ახერხებს ქსელის მშენებლობას, რადგან ხვდებიან (ან ფინანსური წყაროებიდან იღებენ ინფორმაციას), რომ საჭირო ინვესტიცია ვერ მოიპოვეს. სხვა შედეგი შეიძლება იყოს ის, რომ ბაზარზე გაჩნდეს ბევრი ოპერატორი, მაგრამ მათი ქსელები შემოიფარგლოს მხოლოდ მჭიდროდ დასახლებული ურბანული ტერიტორიებით, რითაც ისინი კონკურენციას გააძლიერებენ „მეორე სიმ-ბარათის“ სეგმენტზე, მაგრამ ქვეყნის დიდ ნაწილში კონკურენციას შეზღუდავენ.	
		გეოგრაფიული საზღვრების განსაზღვრასთან დაკავშირებით, იკვეთება ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები. ერთგან (მე-4 ქვეპუნქტი) კომისია აცხადებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ „განსხვავებები არ არის საკმარისი ცალკეული გეოგრაფიული ბაზრის სეგმენტის გამოყოფისთვის ან კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის დადგენისთვის, კომისიამ, შესაძლოა, სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში დააწესოს დიფერენცირებული სპეციფიკური ვალდებულებები.“ ამაში გარკვეული თვითნებობა მოიაზრება.	კომენტარი ემყარება პროცედურების შინაარსის არასწორ აღქმას. აღნიშნული დებულება ითვალისწინებს სპეციფიკური ვალდებულებების სეგმენტაციას მაშინ, როდესაც კონკრეტულ გეოგრაფიულ ერთეულებზე არსებული კონკურენტული გარემო აჩვენებს გარკვეულ განსხვავებებს, თუმცა აღნიშნული განსხვავებები არ არის საკმარისი ბაზრის გეოგრაფიული სეგმენტაციისთვის. აღნიშნული პროცესი ემსახურება პროპორციული სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებას. გარდა ამისა, თითოეულ შემთხვევაში სპეციფიკური ვალდებულებების დიფერენცირება უნდა იყოს დასაბუთებული, შესაბამისად, არ არსებობს თვითნებობის შესაძლებლობა.

			აღსანიშნავია, რომ სპეციფიკური ვალდებულებების გეოგრაფიული სეგმენტაცია გათვალისწინებულია ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებით.[13]
		აგრეთვე, როგორც ადრე უკვე დავადგინეთ, ბაზარზე ზედმეტად ბევრი ავტორიზებული პირების დაშვების შემთხვევაში, ხშირად მათი მომსახურების დაფარვის არეალები უფრო შეზღუდული ხდება. ეს არის ის შემთხვევა, როცა ვითომდა კონკურენციის ხელშემწყობმა ზომებმა შეიძლება კონკურენციის დონე შეამციროს დაშორებულ ტერიტორიებზე. ამავე დროს, ერთი ან ორი, ჩვეულებრივ უფრო დამკვიდრებული, ოპერატორის მიერ დაფარვა შეიძლება უფრო შესაბამისობაში იყოს ლიცენზიით დაკისრებულ ვალდებულებებთან და ხელმისაწვდომობის მიზნებთან. მიუხედავად ამისა, სპეციფიკურ ვალდებულებებს მაინც დააკისრებს იმ ოპერატორებს, რომლებიც უკეთეს დაფარვასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფენ?	კომენტარი ემყარება პროცედურების შინაარსის არასწორ აღქმას. სპეციფიკური ვალდებულებების გეოგრაფიული სეგმენტაციის მიზანი სწორედ ის არის, რომ უზრუნველყოს, ხელი არ შეეშალოს ინვესტირებას ნაკლებად მომგებიან გეოგრაფიულ არეალებში. აღსანიშნავია, რომ სპეციფიკური ვალდებულებების გეოგრაფიული სეგმენტაცია გათვალისწინებულია ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებით.[14]
		აქ წარმოდგენილი წესები აცხადებს იმას, რომ „სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება უპირატესად უნდა მოხდეს საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე.“ ამ მუხლში დამატებით აღნიშნულია, რომ „საცალო ბაზარზე სპეციფიკური	სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებასთან დაკავშირებული წესი მოცემულია პროცედურების იმ თავში, რომელიც აწესრიგებს უშუალოდ სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებას. აღსანიშნავია, რომ პროცედურების სხვა დებულებაშიც (პროცედურების მე-11

[13] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, 2018/C 159/01, para. 50 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018XC0507%2801%29

[14] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, 2018/C 159/01, para. 50 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018XC0507%2801%29

		ვალდებულებების დაკისრება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საბითუმო ბაზარზე დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები ვერ უზრუნველყოფს საცალო ბაზარზე ეფექტიან კონკურენციას.“ საერთო ჯამში, საბითუმო ოპერატორის ასპექტებზე ყურადღების გამახვილება არ ხდება მსძ-ზე რეაგირებისთვის მთელ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში და ალბათ ამაზე ყურადღება უფრო ადრე უნდა გამახვილებულიყო. ამავე დროს, ნახსენებია არაერთი სპეციფიკური ვალდებულება, რომელთა დაკისრებაც ხდება (და მათი დამოუკიდებლობის გათვალისწინების საჭიროება, რითა ხდება მინიმუმ იმის აღიარება, რომ შეიძლება საჭირო იყოს შეზღუდული საბითუმო ინტერვენციები).	მუხლის მე-3 პუნქტი) არის მოცემული ანალოგიური წესი: „პირველ რიგში მოთხოვნისა და მიწოდების (რამდენადაც ეს აქტუალურია) ურთიერთჩანაცვლებადობის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს და ამ პროცედურების მე-12 მუხლით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმის ტესტით შეფასდეს საბითუმო ბაზრის სეგმენტი, რომელიც შესაფასებელი საცალო ბაზრის სეგმენტის ვერტიკალური მიწოდების ჯაჭვში ყველაზე მაღლა დგას – ე. ი. რომლის წინასწარი რეგულირება საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ეფექტიანი კონკურენციის განვითარებაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. ამ პროცესში კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ზოგიერთი საცალო ბაზრის სეგმენტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს საბითუმო ბაზრის ერთზე მეტ სეგმენტთან. თუ საცალო ბაზრის ყველაზე მაღლა მდგომ საბითუმო ბაზრის სეგმენტზე დაწესებულია სპეციფიკური ვალდებულება, მაგრამ არ არის საკმარისი საცალო ბაზარზე იდენტიფიცირებული კონკურენციის პრობლემ(ებ)ის აღმოსაფხვრელად, კომისია გადადის მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონის ბაზრის სეგმენტების განსაზღვრასა და ანალიზზე მოდიფიცირებული გრინფილდის მეთოდის გამოყენებით“. ასეც რომ არ იყოს, გაუგებარია რა პრაქტიკული ან სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს სტრუქტურულად სად განთავსდება შინაარსობრივად გამართული ნორმა სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებასთან დაკავშირებით.
		და ბოლოს, ამ მუხლში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ავტორიზებული პირებისთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებისას, კომისიამ უნდა „განსაზღვროს ავტორიზებული პირის მიერ ამ ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო დროის გრაფიკი, რომლის განმავლობაშიც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია უზრუნველყოს	დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების პროპორციულობა დასაბუთებული უნდა იყოს თითოეული ბაზრის ანალიზის ფარგლებში. ოპერატორის სიტუაცია მხედველობაში იქნება მიღებული კონკრეტული ბაზრის ანალიზისას. შესაბამისად, წარმოდგენილი კომენტარი არ მიემართება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საგანს.

		სპეციფიკური ვალდებულებების შესრულება. აღნიშნული ვადა უნდა ასახავდეს ბალანსს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტული გარემოს შექმნისთვის აუცილებელ დროსა და სპეციფიკური ვალდებულებების შესრულების საჭირო დროს შორის.“ მოიაზრება ის, რომ ოპერატორის სიტუაცია მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, მაგრამ, დამატებითი განმარტება არ არის წარმოდგენილი იმაზე, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ, მაგალითად, მისთვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების შესრულებამ ოპერატორს არ უნდა შეუქმნას ისეთი გასაჭირი, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე - შეიძლება ეს ოპერატორი ნაკლებად კონკურენტუნარიანი გახადოს - და არც იმაზე, როგორ უნდა მოხდეს ამის განსაზღვრა. მხედველობაში არ არის მიღებული ფინანსური კრიზისის პერიოდები ან სხვა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მტრის შეიარაღებული შემოსევა, რის გამოც დაკისრებული ვალდებულების შესრულება შეიძლება ლეგიტიმურად შეფერხდეს.	
	KPMG	საპასუხოდ, ევროკავშირმა ბაზრის შეფასების საწყის საფეხურად განსაზღვრა საბაზისო გეოგრაფიული ერთეულის დადგენა, როგორც კონკურენციის პირობების შეფასების საწყისი წერტილი: „გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრის მიზნით, ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ ძირითადი გეოგრაფიული ერთეული, როგორც საწყისი წერტილი კონკურენტული პირობების შესაფასებლად”. ამასთანავე, გაერთიანებული სამეფოს სახელმძღვანელო მითითებებში	პროცედურები აყალიბებს საწყისი გეოგრაფიული ერთეულის განსაზღვრის საბაზისო წესს: „ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ: ა) ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები იყოს საკმარისად მცირე, რათა თავიდან იქნეს აცილებული თითოეულ გეოგრაფიულ ერთეულში კონკურენტული პირობების მნიშვნელოვანი ვარიაციების არსებობა და საკმარისად დიდი, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიკრო ანალიზი, რომელიც მოითხოვს დიდ რესურსებს და შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის ფრაგმენტაცია; ბ) აისახოს ყველა შესაბამისი ავტორიზებული პირის ქსელის სტრუქტურა; გ)

		ხაზგასმით არის აღნიშნული ამ ფუნდამენტური ნაბიჯის აუცილებლობა, გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრის დოკუმენტის მიხედვით, ” (…) ჩვენ გამოვიყენეთ სამი ძირითადი ნაბიჯი, გეოგრაფიული ბაზრის დეტალური განსაზღვრისთვის, კონკურენციის პირობებში განსხვავებების იდენტიფიცირების საფუძველზე: საბაზისო გეოგრაფიული ერთეულის შერჩევა, მაგალითად, საფოსტო კოდები ან გაცვლის ზონები ან ადმინისტრაციული ზონები.(…)”. „მეთოდოლოგიაში“ აღნიშნული ნაბიჯის არარსებობის გამო პრობლემატურია ბაზრის საზღვრების განსაზღვრის პროცესის გამჭვირვალობა და ეფექტურობა.	ბაზრის გეოგრაფიულ სეგმენტს ჰქონდეს მკაფიო და სტაბილური საზღვრები დროის განსაზღვრულ პერიოდში, რომელიც გულისხმობს ბაზრის მიმდინარე ანალიზიდან ბაზრის შემდეგი ანალიზის დასრულებამდე პერიოდს“. ამ თვალსაზრისით პროცედურები სრულად შეესაბამება ევროკომისიის SMP სახელმძღვანელო პრინციპებს.[15]
		მაშინ, როდესაც „მეთოდოლოგია“ აღიარებს საცალო ბაზარზე ჩარევის პოტენციურ აუცილებლობას, იმ შემთხვევაში თუ საბითუმო ბაზრის ვალდებულებები არის არასაკმარისი, ევროკავშირის სახელმძღვანელო მითითებები უპირატესობას საბითუმო ბაზრის რეგულირებას ანიჭებს: „საბითუმო დონეზე დადგენილი ex ante რეგულირება, რომელიც პრინციპში ნაკლებად ინტრუზიულია, ვიდრე საცალო რეგულირება, მიჩნეულია საკმარისად, შესაბამის ქვედა დონის საცალო ბაზარზე ან ბაზრებზე პოტენციური კონკურენციის პრობლემების მოსაგვარებლად.“	ევროკავშირში მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტები არ გამორიცხვას საცალო ბაზრის რეგულირებას. ამ თვალსაზრისით პროცედურები სრულად შეესაბამება ევროკავშირში მოქმედ სტანდარტებს.[16]

[15] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, 2018/C 159/01, para. 49 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018XC0507%2801%29

[16] იხ. მაგ.: ERG Common Position on the approach to Appropriate remedies in the new regulatory framework, ERG (03) 30rev1, 54 https://www.berec.europa.eu/sites/default/files/files/documents/erg_0330rev1_remedies_common_position.pdf

		კიდევ ერთი განსხვავება გამოიკვეთა ბაზრის ანალიზის სახელმძღვანელო მითითებებში. ევროკავშირის რეგულაციების მიხედვით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასების დროს, კონკრეტული მითითებაა გაკეთებული OTT-ს გათვალისწინებაზე პროდუქტის ბაზრის შეფასებისას. ეს მითითება ხაზს უსვამს ამ მომსახურებების გათვალისწინების მნიშვნელობას მომავალზე ორიენტირებულობის პრინციპის მიხედვით როგორც ტრადიციული ტელეკომუნიკაციების სერვისების სრულ ან ნაწილობრივ ჩამნაცვლებლებზე. „მეთოდოლოგიაში“ არ არის ასეთი მითითება გაკეთებული.	არ არსებობს აცდენა პროცედურებსა და ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებით გათვალისწინებულ დანაწესებს შორის. პროცედურები შინაარსობრივად მოიცავს OTT-ს გათვალისწინების შესაძლებლობას. კერძოდ, აღნიშნული საკითხი შეფასებადია პროცედურებით განსაზღვრული ჩანაცვლებადობის წესების ფარგლებში.
		გარდა ამისა, ანგარიშში მითითებულია, რომ „მეთოდოლოგიის“ პროექტის გარკვეული პუნქტები მიზნად ისახავს ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობას, „ასოცირების შეთანხმების“ შესაბამისად. თუმცა, აღსანიშნავია ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ არსებულ კანონთან შესამჩნევი შეუსაბამობები. ძირითადი შეუსაბამობებია: სხვაობები მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრაში, კონკურენტუნარიანობის ანალიზის ელემენტებში და გაერთიანებული ბაზრებისა და ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მიმართ მიდგომებში. „მეთოდოლოგიის“ მიდგომა გაერთიანებული ბაზრების მიმართ შეიძლება წინააღმდეგობაში იყოს კანონის ერთიანი ბაზრის სეგმენტის მოთხოვნასთან, ხოლო ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ხარისხობრივ კრიტერიუმებს სირთულეები შემოაქვთ.	საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულია „ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგიისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების მიღებისა და „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს N5 დადგენილებაში ცვლილების განხორციელების მიზნით და საჯარო კონსულტაციები შეეხება სწორედ ამ კონკრეტულ პროექტებს. შესაბამისად, ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის მიზნით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების მიზანშეწონილობის განხილვა, სცდება მიმდინარე წარმოების ფარგლებს. თუმცა, დადგენილების პროექტი მაქსიმალურად ითვალისწინებს ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას და მისი

			შემუშავება მოხდა იმ ფარგლებში, რის საშუალებასაც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია იძლევა. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ პროცედურებში ნორმები იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ არ არის წინააღმდეგობა კანონთან, მაქსიმალურად დაზუსტებულია კანონის ნორმები და ამავდროულად, შემოთავაზებულია ევროპული სამართლის და პრაქტიკის საუკეთესო პრინციპები და მიდგომები. კომისია დამატებით, აღნიშნავს, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაცია არის პრიორიტეტი კომისიისთვის და კანონპროექტის ინიცირების უფლების მქონე უწყებებთან აქტიური თანამშრომლობის ფორმატში, მიმდინარეობს მუშაობა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებებზე. მეორე მხრივ, უფლებამოსილი უწყებების ჩართულობით, ასევე, გაიმართა მოლაპარაკებები „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ ცვლილების შეტანის მიზნით. კერძოდ, იცვლება შეთანხმების დანართი XV-B-ში მითითებული დირექტივები. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნული დირექტივები ჩანაცვლდა ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსით (Directive (EU) 2018/1972 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 establishing the European Electronic Communications Code (Recast)Text with EEA relevance. (PE/52/2018/REV/1). შესაბამისად, ასოცირების შესახებ შეთანხმებაშიც შედის ცვლილება - დირექტივები უნდა ჩანაცვლდეს ევროპული კომუნიკაციების კოდექსით და ასევე, განისაზღვროს მისი ქართულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის ახალი ვადები.

			ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას შესაძლებელია გარკვეული პერიოდი დასჭირდეს და გაუმართლებელი იქნებოდა ამ ვადით მეთოდოლოგიური წესების გაუმჯობესების დაყოვნება.
		„მეთოდოლოგია“ ასევე ადგენს, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრისთვის მეორეული კრიტერიუმები იქნება გამოყენებული ძირითად კრიტერიუმთან ერთად. 16 თუმცა, „მეთოდოლოგიის“ 14.4 მუხლში აღნიშნულია, რომ თუ კონკრეტული კრიტერიუმი, რომელიც ერთ-ერთი მეორეულ კრიტერიუმად არის მიჩნეული, არ არის საკმარისი ავტორიზებული პირის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დასადგენად, კომისია აღნიშნულ საკითხს გადაწყვეტს რამდენიმე ან ყველა მეორეული კრიტერიუმის კომბინაციის გამოყენებით. ამასთანავე, კომისია ასევე უფლებამოსილია, ავტორიზებული პირების საბაზრო ძალაუფლების შესაფასებლად, „მეთოდოლოგიაში“ განსაზღვრული მეორეული კრიტერიუმების პარალელურად ან მათი ალტერნატივის სახით გამოიყენოს „სხვა კრიტერიუმები“. კანონის დებულებები მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის კრიტერიუმების გამოყენებასთან დაკავშირებით, შეიძლება	პროცედურები ამ ნაწილში კომენტარების შესაბამისად დაკორექტირდა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე კრიტერიუმი [მეორეული კრიტერიუმები], შესაძლოა, განცალკევებულად არ იყოს საკმარისი ავტორიზებული პირის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრისთვის. კომისიამ საკითხი უნდა გადაწყვიტოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფაქტორებისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პირველადი კრიტერიუმის კომბინირებულად შეფასების გზით“ (პროცედურები, მუხლი 15). აღსანიშნავია, რომ საკითხი არის მოწესრიგებული ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებით.[17] ამავდროულად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის კრიტერიუმები შეიძლება შეფასდეს, როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი ინდიკატორების გათვალისწინებით. აღნიშნულ ფორმატში რთული იქნება იმის დემონსტრირება, როგორ უნდა მოხდეს ორი ან მეტი კრიტერიუმის კომბინირებულად რაოდენობრივი ინდიკატორის გათვალისწინებით შეფასება. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას კრიტერიუმების ერთობლიობით კომისიამ ნათლად და ობიექტურად უნდა

[17] Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, 2018/C 159/01, para. 58 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018XC0507%2801%29

		განიმარტოს, იმგვარად, რომ საჭიროა კანონით დადგენილი ძირითადი კრიტერიუმების (ბაზრის წილის მითითებით), და მეორეული კრიტერიუმების გამოყენება, რომლებიც კომისიის მიერ ცალკე განისაზღვრება, და ამგვარად, ზღუდავს კომისიის უფლებას გასცდეს მის მიერ განსაზღვრულ მეორეულ კრიტერიუმებს. კანონის აღნიშნულ ინტერპრეტაციას მხარს უჭერს ბაზრისთვის მკაფიო სახელმძღვანელო მითითებების აუცილებლობა ავტორიზებული პირებისთვის, იმასთან დაკავშირებით, თუ რა ქმედებები ან სიტუაციები იძლევა აღნიშნული პირების მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად მიჩნევის საშუალებას. „მეთოდოლოგიაში“ განსაზღვრული, ძირითადი და მეორეული კრიტერიუმების გარდა „სხვა კრიტერიუმების“ დამატებით, „მეთოდოლოგია“ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც კომისიის უფლებამოსილების მასშტაბების გაფართოება, ბაზრის შეფასების კუთხით, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ.	აჩვენოს, რომ ავტორიზებულ პირს გააჩნია საკმარისი ეკონომიკური ძალა, რომ იმოქმედოს მომხმარებლებისგან და კონკურენტებისგან დამოუკიდებლად. რაც შეეხება ღია საფუძვლის არსებობას, პროცედურები, ისევე, როგორც ევროკავშირში მოქმედი სახელმძღვანელო პრინციპები არ შეიცავს SMP-ს შეფასების კრიტერიუმების სრულ ჩამონათვალს. შესაბამისად, კომისიას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, გამოიყენოს სხვა, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტში ასახული კრიტერიუმების ეკვივალენტური კრიტერიუმები. ცხადია, თითოეულ შემთხვევაში კომისიის მიერ კრიტერიუმების გამოყენება და შეფასება მოხდება დასაბუთებულად.
		მოთხოვნის და მიწოდების მხრიდან ჩანაცვლების განხილვის რეგულირებისას, „მეთოდოლოგიაში“ გამოყენებული ფორმულირება, შეიძლება განიმარტოს, როგორც კანონში მოცემული ორივე ტერმინის ეფექტურად გაფართოება. კანონი არ უჭერს მხარს ერთი მომსახურებიდან მეორეზე გადასვლის ხარჯის კრიტერიუმების დამატებას (პროვაიდერის ან მომხმარებლის პერსპექტივიდან). აქედან გამომდინარე, „მეთოდოლოგია“ შეიძლება გაგებული იქნას, როგორც ბაზრის კონკურენტუნარიანობის ანალიზში მოთხოვნის ან მიწოდების მხარის ჩანაცვლების გავლენის დონის შეზღუდვა, ვინაიდან მომსახურებებს შორის	„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ[4]“ ქვეპუნქტის თანახმად, მიწოდების მხარის ჩანაცვლება განიმარტება როგორც „მომსახურების ბაზარზე დამკვიდრებული კონკურენციის პირობებში ავტორიზებული პირების მიერ მომხმარებლისათვის ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეების მიწოდების შესაძლებლობა“. ამავე მუხლის „ჰ[11]“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, „მოთხოვნის მხარის ჩანაცვლება – მომხმარებლის მიერ ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახის არჩევის შესაძლებლობა, რომელიც მეტნაკლებად იმავე საფასურით, ხარისხითა და მოცულობით აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს“.

		გადართვის ხარჯი შეიძლება რეალურად იყოს ბაზარზე ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების შემცირების განმაპირობებელი ფაქტორი.	პროცედურებით დაკონკრეტებულია შემთხვევა, როდესაც მოთხოვნის/მიწოდების მხარის ჩანაცვლება ვერ ხდება მაღალი გადართვის ხარჯის გამო. ამ თვალსაზრისით პროცედურები კი არ ეწინააღმდეგება, არამედ - განმარტავს კანონის მიხედვით როდის არის შესაძლებელი ერთი მხრივ, მომხმარებლისათვის ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების სახეების მიწოდების შესაძლებლობა და, მეორე მხრივ, მომხმარებლის მიერ ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების სახის არჩევის შესაძლებლობა. კომენტარში წარმოდგენილი არგუმენტაცია ემყარება დაშვებას, რომლის მიხედვითაც, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი იმგვარად განიმარტება, რომ მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთჩანაცვლებადობის ანალიზისას გამორიცხავს გადართვის ხარჯის მხედველობაში მიღებას. კომენტარის ავტორს არ წარმოუდგენია მტკიცებულება იმის შესახებ, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი ამგვარად არის პრაქტიკაში განმარტებული ან კომისიის ან სასამართლოს მიერ. ამგვარი განმარტება არ გამომდინარეობს კანონიდან და ეწინააღმდეგება მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთჩანაცვლებადობის არსს, ვინაიდან სავსებით შესაძლებელია მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთჩანაცვლებადობის საკითხი განაპირობოს მაღალმა გადართვის ხარჯებმა.
		კანონი მოითხოვს კონცენტრაციის არსებული დონისა და ბაზარზე არსებული ავტორიზებული პირების, ისევე როგორც ავტორიზაციის მიღების მსურველი პირებისთვის ბაზარზე შესვლის დაბრკოლებების გათვალისწინებას. თუმცა, „მეთოდოლოგია“ ადგენს, რომ შესაბამისი ბაზრის სეგმენტის განსაზღვრისას, კომისიამ უნდა განსაზღვროს ბაზრის ყველა მონაწილე ისევე, როგორც ის ავტორიზებული პირები, რომელთაც	პროცედურების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში (რედაქტირების განხორციელებამდე მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი) მიეთითა, რომ ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისას კომისიამ უნდა გამოავლინოს ყველა ის ავტორიზებული პირი, რომელიც საქმიანობს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე და აგრეთვე, ის ავტორიზებული/ავტორიზაციის გავლის მსურველი პირები, რომლებიც პოტენციურად ფლობენ ბაზრის შესაბამისი სეგმენტის საზღვრებში ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების სახეების მიწოდების მოკლევადიან პერიოდში

		პოტენციურად აქვთ შესაძლებლობა (ტექნიკური, ტექნოლოგიური, ფინანსური, საინვესტიციო და აშ.), დროის მოკლე პერიოდში, გასწიონ ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურება შესაბამის სეგმენტში. აღნიშნული დებულება შეიძლება აღმოჩნდეს პრობლემური შემდეგი ორი კუთხით. ჯერ ერთი, ბაზრის ანალიზში „მეთოდოლოგია“ აღარ ითვალისწინებს იმ პირებს რომლებიც ცდილობენ ან გეგმავენ ავტორიზაციის მიღებას, მაშასადამე, შესაბამისი ბაზრის მონაწილეთა რაოდენობა, კანონთან შედარებით, შეზღუდულია. მეორე, „მეთოდოლოგია“ შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული, როგორც დამატებითი კრიტერიუმების განმსაზღვრელი - სხვა არსებული ავტორიზებული პირები, რომელთაც აქვთ ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების გაწევის პოტენციალი, ბაზარზე შესვლის სურვილის ყველანაირი მტკიცებულების გარეშე. მაშასადამე, „მეთოდოლოგიის“ კანონთან შეუსაბამობამ, ამ კუთხით, შეიძლება შეცვალოს ბაზრის ანალიზისას გასათვალისწინებელი პირების რაოდენობა, ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით - იქნებიან ეს მსგავსი მომსახურების გაწევის პოტენციალის მქონე სხვა ავტორიზებული პირები, ან ბაზარზე შესვლის და არსებული ავტორიზებული პირებისთვის კონკურენციის გაწევის განზრახვის მქონე არასაბაზრო მონაწილები.	განხორციელების (ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, ფინანსურ, საინვესტიციო და სხვა) შესაძლებლობას. თუმცა, არ იქნა გათვალისწინებული კომენტარში წარმოდგენილი პოზიცია, რომლის მიხედვითაც სეგმენტის განსაზღვრისას მხედველობაში არ უნდა მიიღებოდნენ ის ავტორიზებული პირები, რომელთა მიმართაც არ არსებობს მტკიცებულება, რომ აქვთ ბაზარზე შესვლის „სურვილი“. ბაზრის მომავალზე ორიენტირებულობის შეფასების მიდგომის გათვალისწინებით ამ კონტექსტში მხედველობაში უნდა იქნეს ყველა ის სუბიექტი, ვისაც აქვს ბაზარზე შესვლის პოტენციალი.
		ამასთანავე, მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების განსაზღვრისას, კანონი მიუთითებს სახელშეკრულებო ურთიერთობებზე ერთ ან რამდენიმე ოპერატორს შორის, ან მათი ქსელების სტრუქტურულ კავშირზე, რაც აღნიშნულ ოპერატორს(ებს) ერთ სეგმენტში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების სხვა სეგმენტში მსგავსი	„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ[12]“ ქვეპუნქტში მოცემულია ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტის ცნება. თავის მხრივ, პროცედურები ითვალისწინებს იმ კრიტერიუმებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტის შეფასება და განსაზღვრა. შესაბამისად, განსხვავებულია

		ძალაუფლების მოპოვების ან გაზრდის მიზნით გამოყენების საშუალებას აძლევს. „მეთოდოლოგია“ (მუხლი 8.1) დაკავშირებული სეგმენტის განსხვავებულ განმარტებას იძლევა. 28 კერძოდ, საუბარია არამხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე და ქსელების ინფრასტრუქტურულ კავშირებზე, არამედ ასევე, საერთო ვერტიკალურ ინტეგრაციასა და ჰორიზონტალურ კავშირებზე, ასევე ოპერატორების ხარისხობრივ მახასიათებლებზე, ურთიერთობების ბუნებაზე და ერთობლივი ქმედებების შესაძლებლობაზე. შედეგად, „მეთოდოლოგია“ შეიძლება განიმარტოს, როგორც კანონში მოცემული მჭიდროდ დაკავშირებული ბაზრების განმარტების ეფექტური გაფართოება.	დასახელებული დებულებების რეგულირების სფერო და არ არსებობს მათ შორის წინააღმდეგობა.

კომენტარის წარმდგენი: სს „სილქნეტი“ (DLA Piper, Frontier Economics) (კომისიაში რეგისტრაციის № შ-23-6/4222, თარიღი: 21.12.2023)	
კომენტარი	**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარზე**

უმჯობესი იქნებოდა, *წესების პროექტით* რომ განისაზღვროს ბაზრების განსაზღვრის კონკრეტული თანმიმდევრობის და მეთოდოლოგიის ნათელი სტრუქტურა, ზემოთ მითითებულის მსგავსად. დღესდღეობით, *წესების პროექტის* მუხლები 9 და 10 მცირედ დეტალებს იძლევიან არაერთი შეფასების შესახებ, რომელიც უნდა განხორციელდეს, თუმცა არა ნათელი და ლოგიკური სახით.	კომენტარის შესაბამისად ცვლილება შევიდა პროცედურების პროექტში და დაემატა ნორმა, რომელიც დეტალურად აღწერს კვლევისა და ანალიზის საფეხურებს (იხ. პროცედურების მე-5 მუხლი).
მე-15 მუხლის ნაწილები 5-იდან 8-ის ჩათვლით არ შეესაბამება *ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოს.* • *წესების პროექტის* მე-15 მუხლის მე-5 ნაწილით კომუნიკაციების კომისია განსაზღვრავს, რომ სამი კუმულატიური პირობის შეფასებისას, რომლებიც გამოიყენება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დასადგენად, *კომისიამ* „შესაძლოა“ შეაფასოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა გამჭვირვალობა, მდგრადობა და გარე ფაქტორები. თუმცაღა, ეს ფაქტორები თავად ის სამი კუმულატიური პირობაა, რომელიც გამოიყენება მნიშნველოვანი საბაზრო ძალაუფლების დასადგენად. მე-15 მუხლის მე-5 ნაწილში მითითებული: ○ “გამჭვირვალობა” შეესაბამება მე-15 მუხლის მე-4 ნაწილის (ა) პუნქტს (რომელიც საუბრობს თითოეული მხარის უნარზე, იცოდეს მეორე მხარის ქმედების შესახებ); ○ “მდგრადობა” შეესაბამება მე-15 მუხლის მე-4 ნაწილის (ბ) პუნქტს (რომელიც საუბრობს დროის მანძილზე უსიტყვო კოორდინაციის მდგრადობაზე). ○ “გარე ფაქტორები” შეესაბამება მე-15 მუხლის მე-4 ნაწილის (გ) პუნქტს (რომელიც საუბრობს მესამე მხარეებზე, რომლთაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან მხარეებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში ექნებოდათ ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება). შესაბამისად, *წესების პროექტის* მე-15 მუხლის მე-5 ნაწილი ან მცდარია (ვინაიდან ამ ნაწილში აღნიშნული სამი ფაქტორი განსახილველად სავალდებულოა და კომუნიკაციების კომისიას ამასთან დაკავშირებით არ აქვს არჩევანი), ან ყოველგვარ აზრს მოკლებული, ან იმეორებს უკვე აღნიშნულს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ნაწილი წასაშლელია.	საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების გათვალისწინებით დებულება ამოღებულ იქნა პროცედურებიდან.

მაგალითად, მე-15 მუხლის მე-6 ნაწილის „გ“ პუნქტი თითქოს აღნიშნავს, რომ „გამჭვირვალობა“ შესაძლოა შეფასდეს „განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა და ინვესტიციაზე მიღებული უკუგების მაჩვენებლის გონივრულობა, იმის გათვალისწინებით, რომ ავტორიზებული პირი ხშირად ამბობს უარს გონივრული პირობებით საბითუმო დაშვების მომსახურების მიწოდებაზე“. როგორც ჩანს, ეს წარმოადგენს მცდელობას, [*წესების პროექტში*] გადმოტანილიყო *EU SMP Guidelines*-ის 84-ე პარაგრაფი, თუმცა ეს პარაგრაფი სხვა რამეს ამბობს - კერძოდ კი იმას, რომ გონივრულ პირობებში საბითუმო დაშვებაზე უარი შესაძლოა (მტკიცებულებებთან ერთად) მიუთითებდეს „საერთო პოლიტიკაზე“ ოლიგოპოლისტებს შორის. *EU SMP Guidelines* არ ამბობს, რომ ინვესტიციის დონე ან ინვესტიციაზე მიღებული უკუგების მაჩვენებელი თავისთავად არის რელევანტური.	წარმოდგენილი კომენტარების მიხედვით ცვლილება შევიდა პროცედურებში და შესაბამისად ჩამოყალიბდა პროცედურების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი.
კიდევ ერთი მაგალითის სახით, *წესების პროექტის* მე-15 მუხლის მე-7 ნაწილი ამბობს, რომ „მდგრადობის“ კრიტერიუმის შეფასებისას, უნდა შეფასდეს, რამდენად არსებობს დამსჯელი მექანიზმები, რომლითაც ხდება ერთ-ერთი ოპერატრის მიერ კოორდინირებული ქმედებიდან გადახვევა - როგორიცაა, საფასო ომის წარმოების შესაძლებლობა (მე-7 ნაწილია (ა) პუნქტი) ან მომხმარებლის შესაძლებლობა, მოახდინოს მისი მომსახურების პორტირება ((მე-7 ნაწილია (ბ) პუნქტი)). თუმცაღა, საფასო ომი და მომხმარებელთა ბრუნვის მაღალი მაჩვენებელი არ არის ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების არსებობის *პრიმა ფასიე* (ერთი შეხედვით) მტკიცებულება, არამედ მოწმობს საპირისპიროს - ცხადია, რომ ისინი წარმოადგენენ ჯანსაღი კონკურენციის მაღალი დონის დასტურს. როგორც ჩანს, კომისია აქ ცდილობს, გადმოიტანოს *EU SMP Guidelines*-ის 85-88 პარაგრაფები, თუმცა ეს პარაგრაფები ამბობენ, რომ ის გარემოება, რომ შესაძლოა არსებობდეს საფასო ომი ან ის, ფაქტი რომ მომხმარებლები სწრაფად პასუხობენ ფასის ცვლილებას, არის მტკიცებულება, რომ არსებობს „შურისძიების დასაბუთებული საფრთხე“, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს „მდგრადობის“ კრიტერიუმი. ეს მნიშვნელოვანი ელემენტი საერთოდ არ გვხვდება *წესების პროექტში*.	წარმოდგენილი კომენტარების მიხედვით ცვლილება შევიდა პროცედურებში და შესაბამისად ჩამოყალიბდა პროცედურების მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი.

წესების პროექტის მე-15 მუხლის მე-8 ნაწილის (ე) და (ვ) პუნქტებში კომისია განსაზღვრავს კრიტერიუმების ამომწურავ სიას, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნენ „გარე ფაქტორების“ კრიტერიუმის შეფასებისას. ეს მოიცავს იმის შეფასებას, თუ რამდენად შეუძლიათ ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებს შექმნან: (i) ბაზარზე ახალი შემსვლელი ოპერატორებისთვის ბაზარზე შესვლის ბარიერები; (ii) ბაზარზე არსებული პოტენციური კონკურენტებისთვის ბიზნეს საქმიანობის გაფართოების ბარიერები. თუმცა, ამ ორი საკითხის ფოკუსი არ შეესაბამება ევროკავშირის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს. *EU SMP Guidelines*-ის თანახმად, გარე ფაქტორების კრიტერიუმის ფოკუსს წარმოადგენს ის, თუ რამდენად არსებობს ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენის საპირისპირო ფაქტორები, მათ შორის შეუძლია თუ არა ახალი მონაწილეს შევიდეს ბაზარზე და კონკურენცია გაუწიოს ოპერატორებს, რომლებიც შესაძლოა აღიქმებოდნენ, როგორც ერთობლივი მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე; შესვლის ბარიერები არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს თუ რამდენად მარტივად შეუძლია ასეთ კონკურენტს, შევიდეს ბაზარზე და იმოქმედოს, როგორც საპირისპირო ფაქტორმა. ამის საწინააღმდეგოდ, მე-8 ნაწილის (ე) და (ვ) პუნქტების ფორმულირება იმგვარად იკითხება, თითქოს შესვლის ბარიერების არსებობის ფაქტი მიუთითებს ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების არსებობაზე. აღნიშნული არის მცდარი და ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოსთან შეუსაბამო. სატელეკომუნიკაციო ბაზრები, სიხშირულ ლიცენზიების საჭიროების გამო, ყოველთვის ხასიათდებიან ბაზარზე შესვლის მაღალი ბარიერებით, თუმცა, ამის მიუხედავად, დღესდღეობით არცერთ ევროკავშირის ქვეყენას ამ სექტორში არ აქვს დადგენილი ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება (მხოლოდ ორმა ქვეყანამ – ესპანეთმა და მალტამ – შეძლო წარმატებით ამის გაკეთება, 18 წლის წინ ჩატარებული შეფასებების ფარფლებში და შემდგომ, უკან გაიხმო ისინი).	წარმოდგენილი კომენტარების მიხედვით ცვლილება შევიდა პროცედურებში და შესაბამისად ჩამოყალიბდა პროცედურების მე-16 მუხლის მე-7 პუნქტი.

აღნიშნულის მიუხედავად, საინვესტიციო კიბის პრინციპი არ წარმოადგენს *ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოს* ოფიციალურ კომპონენტს, არამედ წარმოადგენს „თეორიულ მოდელს“, რომელსაც ეროვნული მარეგულირებელ ორგანოები ითვალისწინებდნენ ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული კონკურენციის ხელშესაწყობად. *ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოს* შესაბამისად არ არსებობს რაიმე (სამართლებრივი) მოთხოვნა, რომელიც დაავალდებულებდა ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს გამოეყენებინათ საინვესტიციო კიბის პრინციპი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებისთვის ვალდებულებების დაწესების პროცესში. კერძოდ, არც *Access Directive* ან *Amended Access Directive* და არც *Electronic Communications Code* (არ) უთითებს საინვესტიციო კიბის პრინციპს, როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს დაშვების ვალდებულებების განსასაზღვრად. ამის ნაცვლად, *Access Directive* ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს უწესებს მოთხოვნას, რომ მათ შორის, გაითვალისწინონ შემდეგი ფაქტორები: (i) კონკურენტული ინფრასტრუქტურის გამოყენების ან ინსტალაციის ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლები; (ii) პოტენციური დაშვების უზრუნველყოფის განჭვრეტადობა; (iii) ინფრასტრუქტურის მესაკუთრის პირველადი ინვესტიცია ინვესტირების რისკების გათვალისწინებით; (iv) კონკურენციის დაცვის აუცილებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში.[3] *Amended Access Directive*-მა განაახლა (iv) პუნქტში მოცემული ფაქტორი ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებულ კონკურენციაზე განსაკუთრებული მითითებით.[4] *Electronic Communications Code* იმავე პირობებით იმეორებს აღნიშნული დაშვების ვალდებულების ჩარჩო მოთხოვნებს.[5]	წარმოდგენილი კომენტარების გათვალისწინებით პროცედურები დაკორექტირდა და ამოღებულ იქნა „საინვესტიციო კიბის პრინციპი“. აღნიშნულის მიუხედავად, კომისია წარმოდგენილი კომენტარის ანალოგიურად აღიარებს საინვესტიციო კიბის „თეორიული მოდელის“ არსებობას, მის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობას და არ გამორიცხავს სამომავლოდ, სათანადო დასაბუთების პირობებში, აღნიშნული მიდგომის გამოყენებასა და პრაქტიკაში გათვალისწინებას.

კომენტარის წარმდგენი: სს „სილქნეტი“ (კომისიაში რეგისტრაციის **№ შ-23-6/4222**, თარიღი: **21.12.2023**)	
კომენტარი	**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარზე**
(i) მიუხედავად იმისა, რომ მოხარულები ვართ, რომ *კომისიამ დადგენილების პროექტში* ასახა სამი პირობის ტესტი, დადგენილებაში არ არის მოცემული ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შემდეგი განმარტება, რომელიც აუცილებლად უნდა დაემატოს *დადგენილების* მე-15 მუხლს, პირველ პუნქტად, კერძოდ: „ერთმანეთისაგან ეკონომიკურად და იურიდიულად დამოუკიდებელი რამდენიმე პირი ერთობლივ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლებას შესაძლოა ფლობდნენ, თუ ისინი ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ეკონომიკური თვალსაზრისით მოქმედებენ ერთობლივად, როგორც ერთი ეკონომიკური აგენტი[1]“.	კომენტარში მითითებული პუნქტი ნაწილობრივ დაკორექტირდა კომენტარის შესაბამისად. კერძოდ, პროცედურის მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები გაერთიანდა და დაემატა კომენტარში მოცემული განმარტება.
დადგენილებით განმარტებული უსიტყვო კოორდინაცია (მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (ვ) ქვეპუნქტი), რომელიც ***კომისიამ* ისევ ძველი დადგენილებიდან გადმოიტანა,** წინააღმდეგობაში მოდის ამავე დადგენილებით და EU SMP Guidelines-ით განსაზღვრულ ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების კონცეფციასთან. შესაბამისად, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (ვ) ქვეპუნქტი ამოღებულ უნდა იქნეს;	ტერმინი ამოღებულ იქნა პროცედურიდან წარმოდგენილი შენიშვნის შესაბამისად.

რთულად დასაჯერებელია, რომ კომისიას მე-15 მუხლის მე-5 პუნქტში გაწერილი აქვს, რომ **„ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული პირობების შეფასების მიზნებისთვის, *კომისიამ შესაძლოა გამოიკვლიოს ისეთი ფაქტორები როგორებიცაა გამჭვირვალობა, მდგრადობა და გარე ფაქტორები*“**, მაშინ როდესაც მე-4 პუნქტში მოცემული 3 კუმულატიური პირობა/კრიტერიუმი, არის ზუსტად ***გამჭვირვალობა, მდგრადობა და გარე ფაქტორების არარსებობა,*** რომლთა კომპლექსურად დადასტურების გარეშეც ვერ იქნება დასაბუთებული მარეგულირებლის მიერ განსაზღვრული უსიტყვო კოორდინაციის ეკონომიკური თეორია და შესაბამისად პირების მიერ ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების ფლობა.	მითითებული პუნქტი ამოღებულ იქნა პროცედურიდან წარმოდგენილი შენიშვნის შესაბამისად.
დადგენილების პროექტს აკლია რიგი მნიშვნელოვანი დებულებები, რომელთა გარეშეც „ქართული“ ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების კონცეფცია და მისი შეფასების მეთოდოლოგია, ისევ ბუნდოვანი და გაურკვეველი იქნება; თვით მარეგულირებელი ვერ შეძლებს სწორად იხელმძღვანელოს თავისივე შემუშავებული ნორმებით, ზუსტად ისე როგორც ვერ ხელმძღვანელობს დღეს მოქმედი ნორმებით, რაც ბაზარზე კიდევ უფრო არაგანჭვრეტად საინვესტიციო გარემოს შექმნის და ნეგატიურად აისახება ბაზრის განვითარებაზე.	პროცედურების მე-16 მუხლით ევროკომისიის ბაზრის ანალიზის და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასების 2018 წლის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად სრულფასოვნად განისაზღვრა ერთობლივი მნიშვნელოვანი ძალაუფლების კონცეფცია, მისი შეფასების კუმულატიური კრიტერიუმები და გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მარეგულირებლის მიერ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას.
ასევე, გაურკვეველია, თუ რატომ გადაწყვიტა *კომისიამ დადგენილების პროექტით* დაამძიმოს კანონით განსაზღვრული ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების წილების კრიტერიუმი, როდესაც ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად რამდენიმე ავტორიზებული **პირი მხოლოდ განიხილება (და არ განისაზღვრება ან არ დგინდება) ერთობლივი** მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკმაყოფილებულია წილების კრიტერიუმი.	შენიშვნაში მითითებული ნორმა მოდიფიცირდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (იხ. პროცედურების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი).

დადგენილებაში მოცემული (მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის განმარტება (რომელიც მოიცავს როგორც ერთპიროვნულ ასევე ერთობლივ საბაზრო ძალაუფლებას) უნდა გადავიდეს მე-13 მუხლში, რადგან მე-14 მუხლში მოცემულია მხოლოდ ერთპიროვნული საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის შეფასების კრიტერიუმები.	კომენტარის გათვალისწინებით გაიმიჯნა ერთპიროვნული და ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებთან დაკავშირებული დებულებები (იხ. პროცედურების მე-15 და მე-16 მუხლები).
სადაც საუბარია ერთპიროვნულ საბაზრო ძალაუფლებაზე, მათ შორის მე-14 მუხლში, მნიშვნელოვანია ყველგან მიეთითოს „ერთპიროვნული“, რომ მომავალშიც ისევე, როგორც დღეს ადგილი არ ქონდეს ერთპიროვნული და ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების კონცეფციისა და კრიტერიუმების აღრევას.	კომენტარის გათვალისწინებით გაიმიჯნა ერთპიროვნული და ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებთან დაკავშირებული დებულებები, გაკეთდა შესაბამისი მითითებები (იხ. პროცედურების მე-15 და მე-16 მუხლები).
ერთპიროვნული საბაზრო ძალაუფლების ნორმებიდან, დიდ პრობლემას ქმნის *დადგენილების პროექტის* მე-14 მუხლის მე-4 პუნქტში გაწერილი მიდგომა. კერძოდ, *დადგენილების პროექტის* თანახმად, ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან შესაძლოა მხოლოდ რომელიმე ერთი კრიტერიუმით შეფასდეს პირის მიერ მნიშნველოვანი საბაზრო ძალაუფლების ფლობა და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებს *კომისია* კრიტერიუმების კომბინირებულად, თუ რომელიმე ერთი კრიტერიუმი არ იქნება საკმარისი. ამის საპირისპიროდ, EU SMP Guidelines შეიცავს მითითებას, რომ ბაზრის სტრუქტურის სირთულისა და სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით, კრიტერიუმების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ კომბინირებულად და არა ცალ-ცალკე, რამეთუ კრიტერიუმების იზოლირებულად/ცალ-ცალკე გამოყენება შეიცავს არასწორი შეფასების რისკებს.	კომენტარის გათვალისწინებით პროცედურების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტით გაიწერა კრიტერიუმების გამოყენების წესი, რომელიც სრულად შეესაბამება ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტებს (Guidelines on market analysis and the assessment of significant market power under the EU regulatory framework for electronic communications networks and services, C/2018/2374, para 58.).
ვინაიდან ჩვენი შეფასებით მე-9 მუხლი წარმოადგენს ბაზრის შესაბამისი **საცალო** სეგმენტების კონკურენტუნარიანობის შეფასების პრინციპებს, მუხლის სათაურში უნდა დაემატოს სიტყვა „**საცალო**“.	პროცედურების აღნიშნული მუხლის სათაური შეიცვალა კომენტარის შესაბამისად (იხ. პროცედურების მე-10 მუხლი).
მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი უნდა დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ბაზრის ანალიზის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ***საცალო*** ბაზრის შესაბამისი სეგმენტ(ებ)ის კონკურენტუნარიანობის შეფასება, რომლებიც განისაზღვრა ამ პროცედურების მე-2 თავის შესაბამისად.	პროცედურების აღნიშნული პუნქტი მოდიფიცირდა წარმოდგენილი კომენტარის შესაბამისად და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ბაზრის ანალიზის ამოსავალი

	წერტილი უნდა იყოს საცალო ბაზრის იმ შესაბამისი სეგმენტ(ებ)ის კონკურენტუნარიანობის შეფასება, რომელიც (რომლებიც) განისაზღვრა ამ პროცედურების მე-2 თავის შესაბამისად“ (იხ. პროცედურების მე-10 მუხლი).
მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესი „ბაზრის ანალიზი შეიძლება ეფუძნებოდეს საბითუმო, საცალო ან/და მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ ბაზრის სეგმენტებს“, წინააღმდეგობაში მოდის როგორც ევროკავშირის ნორმებით განსაზღვრულ საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის შეფასების ნორმებთან, ასევე თვით მე-9 მუხლთან და ამოღებულ უნდა იქნეს.	პროცედურის აღნიშნული პუნქტი მოდიფიცირდა წარმოდგენილი შენიშვნის შესაბამისად და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ბაზრის ანალიზი შეიძლება ეფუძნებოდეს საბითუმო, საცალო ან/და მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ ბაზრის სეგმენტების მონაცემებს“ (იხ. პროცედურების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი).
ვინაიდან მე-10 მუხლი განსაზღვრავს ბაზრის შესაბამისი საცალო სეგმენტების კონკურენტუნარიანობის შეფასების შესაძლო შედეგებს და შემდგომ პროცედურებს, მე-10 მუხლის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „ბაზრის შესაბამისი საცალო სეგმენტების კონკურენტუნარიანობის შეფასების შესაძლო შედეგები და შემდგომი პროცედურები“.	პროცედურაში მითითებული მუხლის სათაური მოდიფიცირდა წარმოდგენილი შენიშვნის შესაბამისად და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ბაზრის შესაბამისი საცალო სეგმენტების კონკურენტუნარიანობის შეფასების შესაძლო შედეგები და შემდგომი პროცედურები“ (იხ. პროცედურების მე-11 მუხლი).

მე-10 მუხლის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **თუ მე-9 მუხლში მითითებული შეფასება აჩვენებს, რომ საცალო ბაზარი მიდრეკილია ეფექტური კონკურენციისკენ მოდიფიცირებული გრინფილდის მიდგომის გათვალისწინებით, *კომისიამ* უნდა დაასკვნას, რომ არ არის საჭირო ამ ბაზრის <u>აღმავალი</u> საბითუმო სეგმენტ(ებ)ის, <u>ისევე როგორც ამ საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის</u> წინასწარი რეგულირება <u>და თუ საცალო ან მისი აღმავალი საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტები ექვემდებარება წინასწარ რეგულირებას, კომისიამ უნდა გააუქმოს დაწესებული ვალდებულებები</u>.**	პროცედურების აღნიშნული პუნქტი მოდიფიცირდა წარმოდგენილი შენიშვნის შესაბამისად (იხ. პროცედურების მე-11 მუხლის პირველი პუნქტი).
დადგენილების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: პირველ რიგში მოთხოვნისა და მიწოდების (რამდენადაც ეს აქტუალურია) ურთიერთჩანაცვლებადობის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს და ამ პროცედურების მე-12 მუხლით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმის ტესტით შეფასდეს საბითუმო ბაზრის სეგმენტი, რომელიც შესაფასებელი საცალო ბაზრის სეგმენტის ვერტიკალური მიწოდების ჯაჭვში ყველაზე მაღლა დგას - ე.ი. რომლის წინასწარი რეგულირება შესაბამის საცალო ბაზრის სეგმენტზე ეფექტიანი კონკურენციის განვითარებაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. ამ პროცესში კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ზოგიერთი საცალო ბაზრის სეგმენტი, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს საბითუმო ბაზრის ერთზე მეტ სეგმენტთან.	პროცედურების აღნიშნული პუნქტი მოდიფიცირდა წარმოდგენილი შენიშვნის შესაბამისად და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „პირველ რიგში მოთხოვნისა და მიწოდების (რამდენადაც ეს აქტუალურია) ურთიერთჩანაცვლებადობისგათვალისწინებით უნდა განისაზღვროს და ამ პროცედურების მე-12 მუხლით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმის ტესტით შეფასდეს საბითუმო ბაზრის სეგმენტი, რომელიც შესაფასებელი საცალო ბაზრის სეგმენტის ვერტიკალური მიწოდების ჯაჭვში ყველაზე მაღლა დგას – ე. ი. რომლის წინასწარი რეგულირება საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ეფექტიანი კონკურენციის განვითარებაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. ამ პროცესში კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ზოგიერთი საცალო ბაზრის სეგმენტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს საბითუმო ბაზრის ერთზე მეტ სეგმენტთან...“ (იხ. პროცედურების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი).

მიუხედავ იმისა, რომ მე-10 მუხლში მოცემულია, თუ რომელი საბითუმო ბაზარი უნდა განისაზღვროს და შეფასდეს პირველ როგში (კერძოდ, საბითუმო ბაზარი, რომელიც საცალო ბაზრის სეგმენტის ვერტიკალური მიწოდების ჯაჭვში ყველაზე მაღლა დგას), დადგენილების პროექტში გამოტოვებულია ევროკავშირის ის უმნიშვნელოვანესი ნორმა, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ უნდა განხორციელდეს შემდგომი ბაზრის შეფასება, კერძოდ, რომ ყოველი შემდგომი საბითუმო ბაზრის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ზემდგომი ბაზარის რეგულაცია.	კომენტარში წარმოდგენილი ჩანაწერი აისახა პროცედურების შესაბამის დებულებებში (იხ. პროცედურის მე-5 მუხლი და მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი).
ასევე აუცილებელია, წინასწარი რეგულირების ფარგლებში კომისია ვალდებული იყოს კვლევა/ანალიზთან ერთად წარმოადგინოს რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA), რომლითაც გაანალიზდება შემუშავებული/განსაზღვრული რეგულაციის/ვალდებულებების პოტენციური შედეგები და დადებითი და უარყოფითი მხარეები (ე.წ. cost and benefit analysis) ეფექტური ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურულ/ქსელურ დონეზე კონკურენციის ხელშეწყობის კუთხით, რათა დადგინდეს და განისაზღვროს არის თუ არა კონკრეტული რეგულაცია გამართლებული და გრძელვადიანი პერიოდის გათვალისწინებით საცალო ბაზარზე სარგებლის მომტანი.	„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 17[1] მუხლი ითვალისწინებს იმ პირობებს, როდესაც სავალდებულოა რეგულირების ზეგავლენის შეფასება და ეს მიემართება უშუალოდ კანონპროექტებს. ამდენად, კანონმდებლობის შესაბამისად, კომისიის დადგენილების პროექტზე არ არის სავალდებულო რეგულირების ზეგავლენის შეფასების არსებობა. რაც შეეხება ბაზრის ანალიზის პროცესში ზეგავლენის შეფასების ვალდებულებას, ასეთი ვალდებულება არ არის გათვალისწინებული არც საქართველოს კანონმდებლობით, არც - შესაბამისი ევროპული სტანდარტებით. კომენტარის ავტორს არ მიუთითებია არცერთ წყაროზე, საიდანაც ამგვარი ვალდებულება გამომდინარეობს. მოქმედი კანონმდებლობა და შემუშავებული ბაზრის ანალიზის პროცედურები ითვალისწინებს ბაზრის ანალიზის საკმარის, ფაქტობრივ გარემოებებზე დაფუძნებულ დასაბუთებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია მიზანშეწონილად არ მიიჩნევს დამატებით რეგულირების ზეგავლენის შეფასების ვალდებულების დაწესებას.

ასევე საჭიროა განიმარტოს თუ რას ნიშნავს ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული ეფექტური კონკურენცია, ისე, როგორც მოცემულია „ევროპული ტელეკომ კოდექსით“ და ამავე დროს ალბათ საჭირო იქნება განიმარტოს ინფრასტრუქტურა, რათა ნათელი იყოს, რომ ინფრასტრუქტურაში მოიაზრება ქსელი და არა პასიური ინფრასტრუქტურა და ან ყველგან სადაც ინფრასტრუქტურულ კონკურენციაზე არის მითითებული გამოყენებულ იქნეს „ინფრასტრუქტურული/ქსელური“.	წარმოდგენილი შენიშვნის გათვალისწინებით, პროცედურების მე-2 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი: „ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული კონკურენციის ეფექტიანი დონე – ინფრასტრუქტურის დუბლირების ხარისხი, რომლის ფარგლებშიც ინვესტორების მიმართ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ სამართლიან უკუგებას მიიღებენ ბაზრის წილების განვითარებასთან დაკავშირებული გონივრული მოლოდინების გათვალისწინებით“.
ვინაიდან მე-6 თავით განსაზღვრული არც ერთი პუნქტი და შესაბამისად არც მე-17 მუხლის პუნქტები არ ეხება სპეციფიკური ვალდებულებების არსებითი პირობების განსაზღვრას, მე-16 და მე-17 მუხლები უნდა გაერთიანდეს მე-16 მუხლის ქვეშ და მე-16 მუხლისა და შესაბამისი თავის სახელწოდება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით „ სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების მიზნები და პრინციპები“	წარმოდგენილი შენიშვნების ნაწილობრივ გათვალისწინებით, მოდიფიცირდა პროცედურების VI თავის სათაური და მიეთითა რომ ამ თავით განისაზღვრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირისათვის სპეციფიკური ვალდებულებების განსაზღვრის და დაკისრების პრინციპები და მიდგომები. ასევე შეიცვალა მე-17-მე-18 მუხლები (რედაქტირების განხორციელებამდე მე-16 და მე-17 მუხლები). კერძოდ, გაიმიჯნა სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების პრინციპები და მიდგომები.
მე- 16 მუხლის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორზე დასაკისრებელი, კომისიის მიერ შერჩეული სპეციფიკური ვალდებულებები უნდა იყოს იდენტიფიცირებული პრობლემის თანაზომადი, პროპორციული, ობიექტურად დასაბუთებული და უნდა პასუხობდეს ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელების, ინოვაციებისა და ინფრასტრუქტურულ/ქსელურ დონეზე კონკურენციის ხელშეწყობის ამოცანებს“.	სს „სილქნეტის“ მიერ შემოთავაზებული პრინციპები მოცემულია პროცედურების მე-4 მუხლში. ეს პრინციპები თანაბრად მიემართება დადგენილების პროექტით განსაზღვრული პროცესის ნებისმიერ ეტაპს - როგორც სავარაუდო წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრის განსაზღვრის, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის გამოვლენის, ასევე,

	მისთვის სპეციფიკური ვალდებულების დაკისრების ეტაპს. ამდენად, არ არსებობს საჭიროება, რომ ცალკე გამოიყოს ეს პრინციპები სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების ეტაპზე. პროცედურების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში გადატანილია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული პირობა, რომ ვალდებულება უნდა იყოს პროპორციულად თანაზომადი და ობიექტურად დასაბუთებული. ასევე, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტში გაკეთებულია დათქმა, რომ სპეციფიკური ვალდებულებების განსაზღვრისას კომისიამ, სხვა მიდგომებსა და მიზნებთან ერთად, შესაძლოა, გაითვალისწინოს ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული კონკურენციის ეფექტიანი დონის მიღწევის მიზანი.
დადგენილების პროექტის მე-4 მუხლის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახელწოდებით- „წინასწარი რეგულირების მიზნები, პრინციპები და მიდგომები“ და უნდა დაემატოს შემდეგი პუნქტი: „კომისია ამ დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს განჭვრეტადი მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბება, საცალო ბაზარზე (ბოლო მომხმარებელთა სასარგებლოდ) კონკურენციის ხელშეწყობა, ეფექტური ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა, ინოვაციებსა და ინფრასტრუქტურული/ქსელური კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა“.	პროცედურების მე-4 მუხლი დაკორექტირდა საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების გათვალისწინებით.

მე-17 მუხლის ის ნორმები, რომელიც არ უკავშირდება სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების პრინციპებს და განსაზღვრავს ზოგადად წინასწარი რეგულირების პრინციპებს ასევე უნდა გადავიდეს მე-4 მუხლში; დამატებით, მე-4 მუხლში ნათლად უნდა იყოს გაწერილი წინასწარი რეგულირების ყველა შესაბამისი მიზანი, პრინციპი და ძირითადი მიდგომები (მათ შორის ის ნორმა, რაც მოცემულია კომისიის მიერ გამოქვეყნებულ რედაქციაში), რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს კომისიამ ან დადგენილებით განსაზღვრული საკითხების შესრულებისას.	პროცედურების მე-4 მუხლი და მე-17 მუხლი დაკორექტირდა საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების გათვალისწინებით.
დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი მცდარად მიუთითებს, რომ არ არსებობს ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს *ასოცირების შეთანხმებით*. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სფეროში რეგულირების პრინციპებს, მათ შორის ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების რეგულირების საკითხს აწესრიგებს *ასოცირების შეთანხმების* IV კარის მე-6 თავის მე-5 ნაწილის მე-5 ქვეთავი. ამ ქვეთავის მე-113-ე მუხლის თანახმად, ***„მხარეები აღიარებენ საქართველოს მოქმედი და მომავალი კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოების აუცილებლობას ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან, რომელიც მოცემულია ამ შეთანხმების XV-B დანართში“***.	„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ბ“ და „ა[1]“ ქვეპუნქტების შესაბამისად, თუ არსებობს ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის განმარტებით ბარათს თანდართული უნდა ჰქონდეს მასთან შესაბამისობის ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად. საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ემყარება ევროკომისიის სარეკომენდაციო დოკუმენტს (EU SMP Guidelines (C/2018/2374) - რომელიც არ არის სამართლებრივი აქტი. კერძოდ, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 288-ე მუხლის

ცხადია, რომ *დადგენილების პროექტი* აწესრიგებს იმავე საკითხებს, რასაც *ასოცირების შეთანხმების* დანართი XV-B-ით განსაზღვრული, *ჩარჩო დირექტივის* ის დებულებები, რომლებიც აწესრიგებს *„ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში ex ante (წინასწარ) რეგულირებას ჰოტენციურად დაქვემდებარებადი შესაბამისი პროდუქტისა და მომსახურების ბაზრების განსაზღვრასა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის გამოვლენის მიზნით ამ ბაზრების ანალიზს".* შესაბამისად, გარდა იმისა, რომ *დადგენილების პროექტის* განმარტებით ბარათი მცდარ ინფორმაციას მიუთითებს ევროკავშირის ისეთი სამართლებრივი აქტის არსებობის თაობაზეც, რომელთან ჰარმონიზაციის ვალდებულებაც გამომდინარეობს *ასოცირების შეთანხმებიდან,* მას ასევე არ ერთვის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტთან შესაბამისობის ცხრილი, რაც წარმოადგენს ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის დარღვევას.	შესაბამისად, კავშირის ინსტიტუციების სამართლებრივი ძალის მქონე აქტებს მიეკუთვნება რეგულაცია, დირექტივა და გადაწყვეტილება. ხოლო, სამართლებრივად მბოჭავი ხასიათი არ აქვს რეკომენდაციას და მოსაზრებას. EU SMP Guidelines არის ევროკომისიის სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელო დოკუმენტი. შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ ის არ მიეკუთვნება ევროკავშირის სამართლებრივ აქტს - არ არსებობს მასთან შესაბამისობის ცხრილის გაკეთების ვალდებულება. ამასთან, საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულია „ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგიისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების მიღებისა და „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს N5 დადგენილებაში ცვლილების განხორციელების მიზნით და საჯარო კონსულტაციები შეეხება სწორედ ამ კონკრეტულ დოკუმენტებს. შესაბამისად, ასოცირების შესახებ შეთანხმებაში მითითებულ სამართლებრივ აქტებთან „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ"

	საქართველოს კანონის ჰარმონიზების ვალდებულებაზე მითითება სცილდება მიმდინარე წარმოების ფარგლებს.
დადგენილების პროექტთან ერთად, *კომისიამ* გამოაქვეყნა ,,მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს N5 დადგენილებაში (შემდგომში „დადგენილება N5") ცვლილების პროექტი. ცვლილების პროექტისა და თანმხლები განმარტებითი ბარათის თანახმად, *დადგენილების პროექტის* მიღების პირობებშიც, *დადგენილება N5* შეინარჩუნებს ძალას, თუმცა იმისათვის, რომ აღნიშნულ აქტებს შორის „არ მოხდეს ნორმების კოლიზია", *დადგენილება N5*-ს დაემატება მუხლი 1^1, რომლის თანახმადაც, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარება განხორციელდება *„ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგიის და პროცედურების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების შესაბამისად".* შემოთავაზებული ცვლილებები უფრო მეტად ბუნდოვანს და არაგანჭვრეტადს ხდის არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს, ვინაიდან *დადგენილების პროექტის* მიღების პირობებში კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით შესაბამისი ბაზრის ანალიზის საკითხს მოაწესრიგებს ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტი, ხოლო *დადგენილება N5-ში* დაგეგმილი ცვლილები არ არის საკმარისი სამართლებრივი კოლიზიის ან შესაძლო ბუნდოვანების გამოსარიცხად.	საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შესაბამისი დადგენილებების მიღება არ განაპირობებს ნორმათა კოლიზიას და დაცულია განჭვრეტადობის სტანდარტიც. კერძოდ: პროცედურების მიღებასთან ერთად ერთიან პაკეტში მიიღება „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება. კერძოდ, აღნიშნულ დადგენილებას ემატება 1^1 მუხლი, რომელიც აკეთებს დათქმას, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარება განხორციელდეს ახალი მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად (ასევე, მითითებულია ახალი პროცედურის თარიღი და ნომერი - 2024 წლის 22 თებერვლის N1 დადგენილება). ამგვარი დათქმა არის ნათელი და განჭვრეტადი საფუძველი, რომ ახალი დადგენილების ამოქმედების შემდეგ, კომისიამ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული

ამასთან ერთად, იმ პირობებში, როდესაც ძალას ინარჩუნებს *დადგენილება N5*, შერწყმის ან წილების შეძენის წინასწარი რეგულირების შემთხვევებზე გავრცელდება ამ დადგენილებით განსაზღვრული ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების წესები. ბუნდოვანია, შერწყმის ან წილების შეძენის წინასწარი რეგულირების ფარგლებში ბაზრის კვლევისა და ანალიზის რომელი წესით იხელმძღვანელებს *კომისია* იმ შემთხვევაში, როდესაც *დადგენილება N5-ით* განსაზღვრული ბაზრის კვლევისა და ანალიზის წესი ეწინააღმდეგება *დადგენილების პროექტით* განსაზღვრულ წესს, რაც ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს უფრო ახალი ნორმატიული აქტის გამოყენების საფუძველს.

ზემოაღნიშნული მაგალითების ფონზე, ცხადია, რომ ცვლილებების პაკეტში შემოთავაზებული ნორმატიული აქტები ვერ აკმაყოფილებენ განჭვრეტადობის ზემოაღნიშნულ სტანდარტს.

თავის მხრივ, შეკითხვას ბადებს ისიც, თუ რამდენად ლეგიტიმურია ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების *დადგენილება N5*-ით განსაზღვრული წესების გამოყენება შერწყმის ან წილების შეძენის წინასწარი რეგულირების მიზნით, მაშინ, როდესაც *კომისია* თავად აღიარებს, რომ აღნიშნული წესები მოძველებულია, ვინაიდან „2007 წლის შემდეგ სატელეკომუნიკაციო სექტორმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ადგილობრივ, რეგიონალურ და გლობალურ დონეზე“ და თავადვე აღნიშნავს, რომ *„როგორც პრაქტიკული, ასევე, მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწის თვალსაზრისით გამოიკვეთა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების საჭიროება“*.

პირების განსაზღვრა და ბაზრის კვლევა განახორციელოს სწორედ ახალი წესების შესაბამისად და მოქმედ დადგენილებაში არსებული ნორმების გამოყენების უფლება, ამ ნაწილში, აღარ ექნება.

თავის მხრივ, №5 დადგენილებაში არსებული ნორმები, რომელიც ეხება კონკურენციის კვლევასა და ანალიზს, მოქმედი რჩება მხოლოდ კონცენტრაციების მიზნებისათვის, რადგან დადგენილების დანართის 32-ე მუხლი აკეთებს დათქმას, რომ შერწყმის შესწავლა მოხდეს სწორედ ამ წესების შესაბამისად.

ამდენად, ცალსახაა და ორაზროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევა №5 დადგენილებაში გაკეთებული დათქმა და შემოღებული წესები, თუ როგორ და რა მიზნით მოხდება ამ ორი დადგენილების თანაარსებობა და პრაქტიკაში აღსრულება.

რაც შეეხება შერწყმების მოდერნიზებული მეთოდოლოგიის მიღებას - კომისია, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს ახალ მეთოდოლოგიას, რომლის გაცნობისა და მოსაზრებების წარდგენის საშუალებაც დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული ახალი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

მომავალში ორაზროვნებისა და სხვადასხვა ინტერპრეტაციის გამორიცხვის მიზნით, *დადგენილების პროექტი* უნდა შეიცავდეს ჩანაწერს, რომელიც *დადგენილების პროექტის* განმარტებას სწორედ ევროკავშირის ჩარჩო კანონმდებლობასა და ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ განვითარებულ პრაქტიკას დაუკავშირებს[9]. შესაბამისად აუცილებელია დადგენილების პროექტს დაემატოს შემდეგი ნორმა: ***„წინამდებარე პროცედურები განიმარტება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ევროკავშირის სამართლისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით“.***	წარმოდგენილი კომენტარის გათვალისწინებით, პროცედურების მე-3 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი: „წინამდებარე პროცედურები განიმარტება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ევროკავშირის სამართლისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.“

მიუხედავად იმისა რომ *კომისიამ* თითქოს ჩვენი შენიშვნის გასათვალისწინებლად დააკორექტირა სამი კრიტერიუმის ტესტის მე-2 და მე-3 კრიტერიუმები, სადაც პირდაპირ ამოღებული ქონდა ინფრასტრუქტურული/ქსელური კონკურენციის შეფასების საკითხი, ამჯერად კომისიამ არასწორად თარგმნა მე-2 კრიტერიუმი და შესაბამისად ისევ ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი ნორმებისაგან განსხვავებული ნორმები მივიღეთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ აუცილებელია:

(i) დადგენილების პროექტს მე-11 მუხლის პირველ პუნქტს (ამ დებულების შემდეგ „ბაზრის შესაბამისი სეგმენტი განისაზღვრება პოტენციურად წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებად ბაზრის სეგმენტად, შემდეგი სამი კრიტერიუმის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში") დაემატოს სამი კრიტერიუმის ჩამონათვალი, ზუსტად ისე, როგორ აღნიშნული მოცემულია ევროპის ტელეკომ კოდექსში, რომელიც გადმოტანილია წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებადი ბაზრების თაობაზე ევროკომისიის შესაბამისი რეკომენდაციიდან:

EECC[5]
A market may be considered to justify the imposition of regulatory obligations set out in this Directive if all of the following criteria are met:
a) high and non-transitory structural, legal or regulatory barriers to entry are present;
b) there is a market structure which does not tend towards effective competition within the relevant time horizon, having regard to the state of infrastructure-based competition and other sources of competition behind the barriers to entry;
c) competition law alone is insufficient to adequately address the identified market failure(s).

შენიშვნის გათვალისწინებით პროექტი დაკორექტირდა და პროცედურებს დაემატა დებულება, რომელიც ითვალისწინებს სამი კრიტერიუმის ჩამონათვალს (იხ. პროცედურების მე-12 მუხლის პირველი პუნქტი).

(ii) მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ- ქვეპუნტი უნდა შეიცვალოს და სწორად უნდა ჩამოყალიბდეს. სრულიად მიუღებელია *კომისიის* მცდელობა მეორე კრიტერიუმის ფარგლებში ამჯერად სიტყვების გადაადგილებით გამორიცხოს ინფრასტრუქტურული/ქსელური კონკურენციის შეფასება. (დადგენილების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად- "მეორე კრიტერიუმი მოიცავს, იმის განსაზღვრას, არის თუ არა დროის შესაბამის ჰორიზონტში ბაზრის სტრუქტურა ეფექტიანი კონკურენციისკენ მიდრეკილი, **ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული და ბაზარზე შესვლის ბარიერების გარდა** სხვა სახის კონკურენტული გარემოებების გათვალისწინებით.)	პროცედურები დაკორექტირდა შენიშვნის გათვალისწინებით.
ამავე პუნქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის მეორე ნაწილიც, („კონკურენციის დონის ეფექტიანობის შეფასებისას, კომისიამ უნდა აჩვენოს, რომ ბაზარი არ გახდება ეფექტიანად კონკურენტუნარიანი შემდეგი კვლევის ჩატარებამდე პერიოდში, წინასწარი რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, ან გახდება ეფექტიანად კონკურენტული მომავალ პერიოდ(ებ)ში, იმ პირობით, რომ კვლევისას გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები, **ნათლად ასახავს ბაზარზე დადებითი დინამიკის ნაკლებობას)** გარდა იმისა, რომ არასწორად არის ფორმულირებული, წინააღმდეგობაში მოდის პოტენციურად წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებადი ბაზრების განსაზღვრის თაობაზე ევროკომისიის რეკომენდაციებთან და განმარტებით ბარათთან, რომლის თანახმად: „A tendency towards effective competition does not necessarily imply that the market will reach the status of effective competition within the period of review. It simply means that there is clear evidence of dynamics in the market within that period, which indicates that the status of effective competition will be reached in the foreseeable future without *ex ante* regulation in the market".[6]	პროცედურები დაკორექტირდა შენიშვნის გათვალისწინებით.
მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი საჭიროებს კორექტირებას, რადგან არასწორად არის ნათარგმნი, გამოტოვებულია სიტყვები და აზრის გაგება შეუძლებელია.	დებულება მოდიფიცირდა კომენტარის გათვალისწინებით (იხ. პროცედურების მე-18 მუხლის პირველი პუნქტი).

იმის ნაცვლად, რომ *კომისიას დადგენილების პროექტით* მოეწესრიგებინა პრობლემა და „შესაბამისი ბაზრის“ (relevant market) ექვივალენტი ტერმინი განემარტა (მაგალითად „ბაზრის შესაბამის სეგმენტი“, რაც ისედაც მრავლად არის გამოყენებული) და ყველა ისეთ შემთხვევაში, სადაც საუბარია კონკურენციის კანონმდებლობით განსაზღვრულ „შესაბამის ბაზარზე“ (relevant market) დადგენილების ფარგლებში გამოეყენებინა ეს ტერმინი, კომისიამ კიდევ უფრო არანათელი და არაგანჭვრეტადი სამართლებრივი გარემო შექმნა, კერძოდ: ა) კომისიამ არ განმარტა „ბაზრის შესაბამის სეგმენტი“, თუმცა ზუსტად ეს ტერმინი და რიგ შემთხვევებში „ბაზრის სეგმენტი“ მრავლად არის გამოყენებული დადგენილების პროექტში, როგორც კონკურენციის კანომდებლობით დარეგულირებული „შესაბამისი ბაზრის“ („relevant market”) ექვივალენტური ტერმინი. ბ) კომისიამ განმარტა , **მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის საზღვრების დადგენა** – რომელიც განსაზრვრულია როგორც “ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ჩატარებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ბაზრის შესაბამის სეგმენტს მიკუთვნებული ურთიერთჩანაცვლებადი **მომსახურების სახეების ჯგუფის და შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრების განსაზღვრის პროცესი**”,. შესაბამისად გაურკვეველია რას ნიშნავს „ბაზრის შესაბამისი სეგმენტი“ (რომელიც მრავლად არის გამოყენებული დადგენილების პროექტში) და	კომისია იყენებს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს - ბაზრის შესაბამისი სეგმენტი. შესაბამისად, გასაზიარებელი არ არის კომენტარში მოცემული შენიშვნა.
ევროკავშირში მოქმედი წინასწარი რეგულირების ნორმების თანახმად შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების განსაზღვრა, მათ შორის შესაბამისი საბითუმო ბაზრის განსაზღვრაც იწყება შესაბამისი საცალო ბაზრების იდენტიფიცირებით და მხოლოდ მას შემდეგ რაც განისაზღვრება შესაბამისი საცალო ბაზრის პროდუქციული საზღვრები უნდა განისაზღვროს შესაბამისი საბითუმო ბაზარის პროდუქციული საზღვრები. კომისიას კი არ აქვს გამიჯნული შესაბამისი საბითუმო და საცალო ბაზრის პროდუქციული საზღვრების იდენტიფიცირების მიდგომები.	პროცედურების მე-5 მუხლში კონკურენციის წინასწარი რეგულირების პროცესის პირველ საფეხურად განისაზღვრა საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების დადგენა, როგორც ეს არის მოცემული ევროკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებში. ამ პირობებში დაუსაბუთებელია კომენტარში მოცემული მითითება საბითუმო და საცალო ბაზრის პროდუქციული საზღვრების იდენტიფიცირების დამატებით გამიჯვნის საჭიროების შესახებ.

დადგენილების მე-6 მუხლის მე-9 მუხლის თანახმად „ბაზრის შესაბამისი მომსახურების სეგმენტის განსაზღვრისას კომისიამ უნდა მიიღოს მხედველობაში თვითმომსახურება, მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული საბითუმო მომსახურების მიუწოდებლობის გამო საბოლოო მომხმარებლებს ადგებათ ზიანი და არსებობს ამ ტიპის საბითუმო მომსახურებებზე სხვა ავტორიზებული პირების მხრიდან პოტენციური მოთხოვნა. ამ შემთხვევაში, კომისიამ უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი თვითმომსახურება მომსახურების ბაზრის შესაბამის საბითუმო სეგმენტზე, **რომელსაც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი იყენებს საკუთარი საცალო ოპერაციებისთვის**". პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მუხლი წარმოადგენს EU SMP წესების „ქართულ" მოდიფიცირებულ ვარიანტს, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კონკურენციის კანონმდებლობით აღიარებულ პრინციპებთან. საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის პროდუქციული საზღვრების დადგენის ეტაპზე ჯერ ვერ იქნება შეფასებული რომელი ოპერატორი წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირს, შესაბამისად შეუძლებელია ამ ეტაპზე *კომისიამ* გაითვალისწინოს თვითმომსახურება, რომელსაც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი იყენებს საკუთარი საცალო ოპერაციებისთვის. შესაბამისად, ამ მუხლში მოცემული უნდა იყოს **ვერტიკალურად ინტეგრირებული პირები** და არა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირი.	პროცედურების მითითებული დებულება მოდიფიცირდა კომენტარის შესაბამისად (იხ. პროცედურების მე-7 მუხლის მე-10 პუნქტი).
(iv) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისას, შესაძლებელია, კომისიამ გამოყოს ბოლო მომხმარებელთა ჯგუფი **სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისა** და მოხმარების თავისებურებების გათვალისწინებით". აქაც უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით ბოლო მომხმარებელთა ჯგუფის გამოყოფა წინააღმდეგობაში მოდის კონკურენციის სამართლით განსაზღვრულ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის ნორმებთან და შესაბამისად ამოღებულ უნდა იქნეს.	პროცედურების მითითებული დებულება მოდიფიცირდა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისას კომისია აფასებს, არის თუ არა საკმარისი მომხმარებელთა ჯგუფებს შორის განსხვავებები ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ყოველთვიურ დანახარჯებში, ხელშეკრულებების პირობებსა და მის ხანგრძლივობაში, მოხმარების საჭიროებაში,

	მომსახურების მიღებისთვის თანხის გადახდის მზაობაში ან სხვა ანალოგიურ მახასიათებლებში მათ ბაზრის სხვადასხვა შესაბამის სეგმენტში მოსაქცევად“ (იხ. პროცედურის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი).
დადგენილების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტში მოცემულია, რომ **„კომისიამ, შესაძლოა, მოაქციოს ორი ან რამდენიმე ბაზრის სეგმენტი ბაზრის ერთიანი სეგმენტის ფარგლებში,** თუ სრულდება არანაკლებ ერთი ქვემოთ მოცემული პირობა: ა) ცალკეულ მომსახურებებს გააჩნიათ ერთგვაროვანი კონკურენტული მახასიათებლები, რაც გულისხმობს, რომ თითოეული განხილული ბაზრის სეგმენტის ფარგლებში აღნიშნული მომსახურებების მიმწოდებლების ქცევაც ერთგვაროვანი იქნება; ან/და ბ) ბაზარზე მოქმედებს საერთო სატარიფო შეზღუდვა, რაც გულისხმობს, რომ მოსალოდნელია მიმწოდებლების ფასები და ქცევა იყოს ერთგვაროვანი ბაზრის თითოეული განხილული სეგმენტის ფარგლებში“.	პროცედურების მე-7 მუხლში (რედაქტირების განხორციელებამდე, მე-6 მუხლი) მოცემული პირობა, რომ კომისიას შეუძლია ბაზრის ერთიან სეგმენტში მოაქციოს ორი ან რამდენიმე ბაზრის სეგმენტი (თუ დაკმაყოფილებულია კრიტერიუმები), არის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული მიდგომა. მაგალითისთვის, იხილეთ გაერთიანებული სამეფოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს (OFCOM) მიერ განხორციელებული 2018-2021 წლების მობილური ზარის დასრულების ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც, მარეგულირებელმა ორგანომ მოახდინა ბაზრების აგრეგაცია ანალოგიური კრიტერიუმების გამოყენებით.

კახი ბექაური

თავმჯდომარე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ეკატერინე იმედაძე

წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ივანე მახარაძე

წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია